ივან რიბკინის დახურული ვოიაჟი საქართველოში A3

ზოდელავას დავალება გზაში დაიკარგა A4

სტერეოტიპების მსხვრევა A4

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

კვირა, 8 სექტემბერი, 2002 წელი. №98

ფასი 50 თეთრი

# "დიდგორის ორდენი" რაინდებს ეძებს!

*1121 წლის ზაფხულია.*

*თურქ-სელჩუკთა ლაშქარი შემოსევია ქართლს.*

*12 აგვისტოა და დიდგორის ველზე გადამწყვეტი ბრძოლა იმართება.*

*მომხვდურთა ზუსტი რაოდენობა ძნელი დასადგენია, თუმცა ლაშქარია - თვალს ვერ გადაუწვდენ. ერთი ფაქტია: დამხვდურთა ჯარს თითქმის ათჯერაც კი აჭარბებს.*

*დავითმა 56 000 მებრძოლის გამოყვანა შეძლო ბრძოლის ველზე.*

*ველი, პრინციპში, პირობითი სახელია, უფრო - გადატიტვლებული მთა-გორებია.*

*ქართულ ლაშქარში 15 000 ყივჩაღია და 200-მდე ჯვაროსანი. დანარჩენი ქართველები არიან.*

*დავითს შეეძლო, მეტი დაქირავებული ჯარისკაცი დაეყენებინა ბრძოლის ველზე, ყივჩაღები ხომ ცნობილი მეომრები არიან... მაგრამ გამარჯვებისთვის ბრძოლა მაინც ქართველებს ანდო.*

*თან უკან გასაქცევი გზა ჩახერგა - "ან დავიხოცებით, ან გავიმარჯვებთ!"*

*მაშინ ქართველებმა გაიმარჯვეს!*

2002 წლის 7 სექტემბერია და ისევ ძნელია დიდგორის ველისკენ სავალი გზის გავლა ქართველისთვის. მაგრამ ველზე მისულს გზაში ნაყლაპი მტვერიც გავიწყდება,

გაგრძელება A2 გვერდზე

*დიდგორის ველი, 2002წ. 7 აგვისტო.*

გოგიტა გუნაკაძის ფოტო

## სენსაცია უსაფუძვლოდ

### პიტერ შოუ, შესაძლოა, პანკისში არც იყოს

სოფიკო ჩხაიძე

საქართველოს შს მინისტრს კობა ნარჩემაშვილს, თავისი წინამორბედის მსგავსად, თავის მართლებამ მოუწია. მსგავსი სკანდალი დაახლოებით ერთი წლის წინაც ანალოგიური თემის გამო ატყდა – კახა თარგამაძის მოსკოვში ყოფნისას, ინფორმაცია გავრცელდა, რომ იგი რუს კოლეგას პანკისის ხეობაში ერთობლივი ოპერაციის ჩატარებაზე დათანხმდა. მაშინ თბილისში დაბრუნებულ თარგამაძეს ძალზე გაუჭირდა საზოგადოების გადარწმუნება. სხვა სიტუაციაში აღმოჩნდა კობა ნარჩემაშვილი, რომელსაც, მართალია, კომენტარის გაკეთება მოუხდა, თუმცა, ამის გარეშეც რუსული ენის ნებისმიერი კარგად მცოდნე რუსეთის შს მინისტრის განცხადებაში სენსაციურს ვერაფერს ნახავდა. ბორის გრიზლოვმა ბაქოში, დსთ-ს ქვეყნების შს მინისტრთა შეხვედრის მიმდინარეობისას, რუს ჟურნალისტებს მხოლოდ და მხოლოდ ის უთხრა, რომ ქართველ კოლეგასთან ერთობლივი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების

გაგრძელება A3 გვერდზე

## აფხაზებმა კიდევ ორი მძევალი აიყვანეს

ვერიკო თევზაძე

*გალში კრიმინალური ვითარება უკიდურესად დაძაბულია. სეზონის გახსნასთან დაკავშირებით, თხილის ბიზნესში ჩართული დაჯგუფებები დაძრწიან, მოსახლეობა ტერორის ქვეშ იმყოფება. უკვე ყველასათვის ცნობილია ქართველი და აფხაზი კრიმინალების თანამშრომლობის შესახებ. მეტიც, კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ შავ ბიზნესში ზოგიერთი ოფიციალური პირიცაა ჩართული. ოთხმხრივ კომისიას გატაცებული აფხაზი დონღოზიასა და ქართველი ჭელიძის შესახებ, ჯერჯერობით, არაფერი დაუდგენია. ამასობაში აფხაზებმა მამა-შვილი ქირიები აიყვანეს მძევლად.*

ქირიების გატაცების შესახებ "24 საათს" ზუგდიდის პროკურორმა, ოთხმხრივი კომისიის წევრმა, მებრძოლი ჭკადუამ აცნობა. მამა-შვილი 5 სექტემბერს დილის ექვსი საათისთვის აიყვანეს, მაგრამ ძალოვანი სტრუქტურებისთვის ეს ფაქტი მხოლოდ გუშინ დილით გახდა ცნობილი, რადგან ქირიების ოჯახის წევრები და ახლობლები ამ შემთხვევას არ ახმაურებდნენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

## მკვლელობა ფიჩხოვანში

გუშინ, ამერიკული ანტიტერორისტული "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წვრთნების - "კახეთი 2002"-ის მსვლელობისას, ფიჩხოვანში ზემდეგმა მზარეულმა ჯარისკაცი მოკლა.

მკვლელობა დაახლოებით დღის 12 საათზე მოხდა. გამოძიების ხელთ არსებული ინფორმაციით, თავდაცვის სამინისტროს მე-11 ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის მესამე ასეულის ჯარისკაცი თეიმურაზ კობიაშვილი, თანამომსახურესთან ერთად, საველე სამზარეულოში მივიდა, ზემდეგ მზარეულს ტარიელ წიქარიძეს ჯერ სიგარეტი სთხოვა, შემდეგ – ხორცი, უარის მიღების შემდეგ კი მზარეულს შეაგინა. მათ შორის ჩხუბი იმით გაგრძელდა, რომ წიქარიძე ჯარისკაცს სამზარეულოს დანით გაეკიდა, დაეწია და გულში დაარტყა. თეიმურაზ კობიაშვილი შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა.

მკვლელი მზარეული გუშინვე დაიკავეს, ამოღებულია მკვლელობის იარაღი, ჩატარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაც. მკვლელობის გამოძიება კახეთის სამხედრო პროკურატურას დაევალა. საქმე პირად კონტროლზე აიყვანა საქართველოს მთავარმა სამხედრო პროკურორმა გია ჯიქიამ, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, ადგილზე ჩასვლასაც აპირებს.

კახეთის სამხედრო პროკურორის ილია ოთარაშვილის თქმით, ჯარისკაცის მკვლელობის გამო, სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა და მიმდინარეობს გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები.

## ევროსაბჭომ კონფლიქტური რეგიონებისთვის მოიცალა

გიორგი ასანიშვილი

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტი ორშაბათს მოისმენს პოლიტიკურ მოხსენებას "საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ". ამასთან დაკავშირებით, დღეს პარიზში მიემგზავრება ამ კომიტეტის წევრი ელენე თევდორაძე, რომელმაც "24 საათთან" საუბარში აღნიშნა, რომ საქართველოს საკითხი ცალკე თემად კი არ არის გამოყოფილი, არამედ ერთ-ერთი შემადგენილი ნაწილია ერთიანი დღის წესრიგისა, სახელწოდებით "ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები არაკონტროლირებად ტერიტორიებზე". ამდენად, საფრანგეთის დედაქალაქში საუბარი იქნება პოსტსაბჭოთა სივრცის კონფლიქტურ რეგიონებში - დნესტრისპირეთში, მთიან ყარაბაღში, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში - ადამიანის უფლებების შელახვის კონკრეტულ შემთხვევებზე.

აღსანიშნავია, რომ თავის დროზე, როდესაც ამ სტრუქტურაში საქმიანობდა, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე სწორედ რევაზ ადამია გამოვიდა ინიციატივით, გაკეთებულიყო პოლიტიკური მოხსენება ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით საქართველოში (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი) არსებულ ვითარებაზე.

**"ბიუროკრატიული აპარატის გამო, მოხსენება ერთი სხდომიდან მეორეზე გადადიოდა და ერთი წლის შემდეგ, როგორც იქნა, საქმეს საშველი დაადგა. ფრანგულ და ინგლისურ ენებზე მომზადებული დოკუმენტი უკვე მზად არის",** - აღნიშნავს ელენე თევდორაძე, რომლისთვისაც მოხსენების შინაარსი, ჯერჯერობით, უცნობია და ამდენად, კომენტარს ვერ აკეთებს.

მონიტორინგის კომიტეტის ორშაბათის სხდომაზე პოლიტიკური მოხსენების განხილვა არ შედგება. ეს პროცედურა გაიმართება ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე, რომელიც პარიზში 20-26 სექტემბერს ჩატარდება.

## რუსეთი „არტისტიზმში" ხუთიანს გვიწერს

რუსეთის თავდაცვის მინისტრი, რომელსაც პანკისში სასაკლაოს მოსაწყობად "ხელები ექავება", იძულებულია, მხოლოდ დროდადრო გაკეთებული ცინიკური განცხადებებით შემოიფარგლოს. პანკისში გამართულ ანტიკრიმინალურ ოპერაციას მან შაბათს "თეატრალიზებული შოუ" უწოდა. "სცენარში, რეჟისურასა და სამსახიობო ხელოვნებაში მათ ფრიადს ვუწერ, ეფექტურობაში – ნულს," – განაცხადა სერგეი ივანოვმა ქართველი ძალოვნების მისამართით. საინტერესოა, რა ნიშნით შეაფასებდა მინისტრი ჩეჩნეთში საკუთარი არმიის "გმირობას"?

სანამ ივანოვი "ხუმრობს, როგორც შეუძლია", მისი კოლეგები მორიგ პროვოკაციას ამზადებენ. რუსეთის საინფორმაციო საშუალებები იმოწმებენ "აფხაზეთის უშიშროების მინისტრს" - ზურაბ აგუმავას, რომელიც ამტკიცებს, რომ ბოლო ორი კვირაა, კოდორის ხეობაში ჩეჩნებისა და არაბების კონცენტრაცია შეინიშნება. ზოგიერთი რუსული წყაროს ცნობით, პანკისიდან წასული გილაევის რაზმის ნაწილს, შესაძლოა, კოდორისათვის შეეფარებინა თავი.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ რუსული ბომბდამშენების მორიგი სამიზნე კოდორის ხეობა გახდება?

**"24 საათი"**

## ელიტური ქართული ღვინოები სახელმწიფო კონტროლის ქვეშ ექცევა

სოფო კვინტრაძე

საქართველოს პარლამენტმა, მსოფლიო ბაზარზე ქართული ღვინოების ფალსიფიკაციისგან დაცვის მიზნით, "ვაზისა და ღვინის შესახებ" კანონში ცვლილებები შეიტანა, რომელიც ძალაში ახალი წლიდან შევა. ახალი წესების მიხედვით, ყველა სამარკო ღვინო მხოლოდ იმ რეგიონში უნდა ჩამოისხას, რომელსაც ღვინის დასახელება შეიცავს. ასე მაგალითად, ელიტარული ღვინის "ხვანჭკარას" ჩამოსხმა მხოლოდ რაჭა-ლეჩხუმის მხარეში იქნება ნებადართული.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტში" აცხადებენ, რომ მეღვინეობისა და მევენახეობის სფეროში სრული ქაოსია, ბაზარზე იყიდება უამრავი ფალსიფიცირებული ღვინო. აქამდე მოქმედი საკანონმდებლო ბაზა, რაც ამ დარგებს არეგულირებდა, დეპარტამენტს არ აძლევდა რეალურ ბერკეტებს კონტროლის განსახორციელებლად. ამიტომ სამინისტრომ მოამზადა ცვლილებები საქართველოს კანონში "ვაზისა და ღვინის შესახებ", რაც, პირველ რიგში, დარგის მარეგულირებელ ორგანოს მეღვინეობისა და მევენახეობის სფეროში მიმდინარე პროცესების სრული გაკონტროლების უფლებას აძლევს.

ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც კანონში შევიდა, ე.წ. ადგილწარმოშობის, ანუ უმაღლესი ხარისხის ელიტარულ ქართულ ღვინოებს შეეხება. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში ისხმება 18 დასახელების ადგილწარმოშობის ღვინო. ახალი წესის თანახმად, მეწარმეს ეკრძალება ამგვარი ღვინოების წარმოება მევენახეობის შესაბამისი ზონის ფარგლებს გარეთ. მარტივად რომ ვთქვათ, "წინანდლის"

გაგრძელება A3 გვერდზე

## ხუთშაბათს ერაყთან ომის ბედი უნდა გაირკვეს

ზოთა უტიაშვილი

მას შემდეგ, რაც ამერიკის ადმინისტრაციის ერთი ნაწილი ერაყთან ომის სასწრაფოდ დაწყების მოთხოვნით გამოდიოდა და ამისათვის არათუ გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას, არამედ თავად აშშ-ს კონგრესის გადაწყვეტილებასაც ზედმეტად მიიჩნევდა, როგორც ჩანს, ბევრი რამ შეიცვალა.

როგორც ჩანს, თეთრი სახლი ერაყთან ომს უცხოეთის ქვეყნებთან და საკუთარ კანონმდებლებთან კონსულტაციების გარეშე მაინც არ დაიწყებს. ყოველ შემთხვევაში, ბუშის დიპლომატიური წიაღსვლები ამას მიანიშნებს. პარასკევს ბუში ტელეფონით ესაუბრა საფრანგეთის, ჩინეთისა და რუსეთის ლიდერებს, შაბათს ბრიტანეთის პრემიერს შეხვდა, ორშაბათს – კანადის ლიდერს მიიღებს, ხუთშაბათს კი საპროგრამო სიტყვით გამოვა გაერო-ს გენერალური ასამბლეის წინაშე.

უმთავრესი სახელმწიფოების ლიდერებთან საუბრები მიზნად მათი ერაყთან ომის აუცილებლობაში დარწმუნებას ისახავს, რაც, როგორც

გაგრძელება A3 გვერდზე

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 28 |
| ქუთაისი | 27 |
| ბათუმი | 23 |
| სოხუმი | 24 |
| ფოთი | 24 |
| თელავი | 27 |
| ზუგდიდი | 26 |
| გორი | 25 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1800 |
| ევრო | 2.1604 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4137 |
| რუბლი | 0.0689 |

## კურტანიძე მსოფლიო ჩემპიონია!



B2

*ელდარ კურტანიძე (მარცხნივ) ასპარეზობისას.*

## ორშაბათიდან

ყოველდღიური ჩანართი B4-B5 გვერდებზე

ორშაბათი – იუმორი

სამშაბათი – სპეცსამსახური, ჭარი, შეიარაღება

ოთხშაბათი – ავტომობილი, ნადირობა, თევზაობა

ხუთშაბათი – ევროისტორია (ყველაფერი ევროპასა და ევროპულზე)

პარასკევი – კვირის TV-პროგრამა და ანონსი

შაბათი – ცივილიზაცია (მეცნიერება, უახლესი ტექნოლოგიები, აღმოჩენები, მედიცინა)

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 საზოგადოება

B2 სპორტი B3 ანკეტა B4 სხვადასხვა

# "დიდგორის ორდენი" რაინდებს ეძებს!

პირველი გვერდიდან

უგზოობით განადგურებული მანქანაც და ნაბეგვი გვერდებიც - ველზე ქართველების გამარჯვების სუნი ტრიალებს და მივიწყებული ქართველობის გემოს გრძნობ.

გამარჯვების მონატრებული გრძნობის შეხსენება გახლდათ გუშინდელი "დიდგორობის" ინიციატორთა და წარმოდგენის ავტორთა მთავარი მიზანი. პრინციპში რეჟისორმა გოგი ქავთარაძემ ამ მიზანს გუშინ მიაღწია კიდეც - წარმოდგენაზე იგრძნობოდა მეთერთმეტე საუკუნის სული, ჯირითობდნენ "იმდროინდელი ვაჟკაცები", მღეროდნენ "წინაპრები"...

გუშინ "დიდგორობაზე" ორგანიზაცია "დიდგორის ორდენიც" დაარსდა... ორდენის მიზანი ქართველთა გამარჯვებების აღნუსხვა და ქართველ გამარჯვებულთა წახალისებაა - ორდენი "დიდგორის რაინდის" წოდებას დაარსებს და მას იმ თანამედროვეებს მიანიჭებს, ვინც თავისი გამარჯვებებით დღესაც კვებავს ქართველთა სიამაყეს და თავისი მოღვაწეობით რაინდის წოდებას იმსახურებს. ასეთი ადამიანები, ალბათ, ჩვენს გვერდით მართლაც არიან, მათ, უბრალოდ, პოვნა სჭირდება...

თუმცა, მიუხედავად ამ კარგი იდეის გახმოვანებისა, პარლამენტის თავმჯდომარისა და სახელმწიფო მინისტრის, მხარის გუბერნატორისა და მხარის დეპუტატების სტუმრობისა, ზეიმის მთავარი გმირები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ისინი, ვინც ყოველ წელს მოდიან დიდგორის ველზე, ზოგი - მანქანით, ზოგი - ცხენით, ზოგი - ფეხითაც კი და "დიდგორობას" თავისებურად აღნიშნავენ.

როგორც მათ გვითხრეს, ეკლესიურად "დიდგორობა" 2 სექტემბერს აღინიშნება, მაგრამ ხალხმა სახალხო ზეიმის დღედ 7 სექტემბერი დაადგინა და ეს დაუწერელი ტრადიცია "რჯულზე უმტკიცესი" გახდა.

მოდიან, ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავენ, საკლავს კლავენ, გამარჯვებების სადღეგრძელოს ამბობენ, გვიანობამდე ნადიმობენ... მოდიან, მიუხედავად იმისა, იღებს თუ არა ამ ზეიმში მონაწილეობას ხელისუფლება.

გუშინდელ "დიდგორობაზეც", რომელიც საკმაოდ კარგად დადგმული და ორგანიზებული წარმოდგენა გახლდათ, მონაწილენი ძალით არავის "მოურეკავს". მეტიც, წარმოდგენაზე ყველა მსურველის გამოსვლა არ მოხერხდა - ჩვენს თვალწინ ჩაირბინეს პატარა მოცეკვავე გოგონებმა, რომლებსაც ორსაათიანი წარმოდგენის განმავლობაში საკუთარი ხელოვნების "დიდი ხალხისთვის" ჩვენების საშუალება არ მიეცათ და ამის გამო ძალზე უკმაყოფილონი გახლდნენ.

მიუხედავად ამისა, გუშინ ზეიმი შედგა და არც ჩვენთან, არც ხელისუფლების პირისპირ აღმოჩენისას ხალხს საკუთარ პრობლემებზე საუბარი არ უცდია.

რა-რა და, მოლხენა და ზეიმზე მოსული სტუმრის პატივისცემა საქართველოში ჯერ კიდევ იციან.

დღესასწაული, "დიდი ხალხის" წასვლის შემდეგაც, შებინდებამდე გაგრძელდა.

საღამოს კი, ამჯერად წინაპრების წინაშე მოხდილი მოვალეობის უცნაური გრძნობით, დაღმა დაეშვა ზეიმის მონაწილეთა "ქარავანი" და ბარში წარსულ გამარჯვებებზე ნოსტალგიაც ჩამოიყოლა.

**"24 საათი"**

# აფხაზებმა კიდევ ორი მძევალი აიყვანეს

## სანდო წყარო მერაბ ჭელიძის ადგილსამყოფელს ასახელებს

პირველი გვერდიდან

გალის რაიონის გამგებელმა მურმან ჭედიამ ჩვენთან საუბრისას არ უარყო, რომ მერაბ დონღოზიას გატაცება თხილის ბიზნესს უკავშირდება. შავ ბიზნესთან ხელისუფლების კავშირზე საუბრისას ბატონი ჭედია ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლება: **"ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი, შეიძლება, ჩართული იყოს ამ ბიზნესში, მაგრამ გააჩნია, ხელისუფლების რა დონეზეა საუბარი."**

ზუგდიდის პროკურორი იმედებს გატაცებულ-გამტაცებელთა მოლაპარაკებაზე ამყარებს. **"ჯერჯერობით, არანაირი ინფორმაცია არ მოგვეპოვება დონღოზიასა და ჭელიძის შესახებ. ორივე მხარე დავავალდებულეთ, მიიღონ ზომები მათ გასათავისუფლებლად"**, - განაცხადა ბატონმა მებრძოლიმ.

გატაცებულთა მხარეები უკვე დიდი ხანია, მართავენ საიდუმლო მოლაპარაკებებს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ოთხმხრივ კომისიას ან ძალოვან სტრუქტურებს დაეხმარონ, მათ თავიანთი ბიზნეს-ინტერესები ამოძრავებთ. ამას, რასაკვირელია, მძევალთა ახლობლების ვნებათაღელვაც ემატება.

სანდო წყაროს ცნობით, ჭელიძე ჭუბურხინჯის კრიმინალურმა დაჯგუფებამ გაიტაცა. იგივე წყარო იუწყება, რომ ქართველი მძევალი გადამალული ჰყავთ დონღოზიას მშობლიურ სოფელში – ოჩამჩირის რაიონის სოფელ ფოქვეშში.

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი კატეგორიულად უარყოფს თხილის ბიზნესში მონაწილეობას. **"ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ სამშვიდობო ძალებთან უნდა ვიყოთ კავშირში და, აქედან გამომდინარე, მის გაყვანასაც არ უნდა ვითხოვდეთ. მე შემიძლია, დავადასტურო ქართველი და აფხაზი კრიმინალების ალიანსი. ბიზნესში, ასევე შეიძლება, ჩართული იყვნენ როგორც აფხაზი, ისე ქართველი სამართალდამცავები. ასე რომ, როცა საუბარია შავ ბიზნესში ხელისუფლების მონაწილეობაზე, იგულისხმება სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენლები"**, - განუცხადა "24 საათს" თამაზ ნადარეიშვილმა.

5 სექტებერიდან გალის ქვედა ზონაში აფხაზური მილიციის 40-კაციანი დამატებითი ქვედანაყოფი შეიყვანეს (იმავე დღეს გამართულ ოთხმხრივ შეხვედრაზე აფხაზურ მხარეს ამის შესახებ არაფერი უთქვამს). მილიციელები მკაცრად ამოწმებენ საპასპორტო რეჟიმს. ძნელი სათქმელია, რას ემსახურება ეს ღონისძიება - საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებას თუ აფხაზი დონღოზიას ძებნას. ერთი რამ ცხადია: გალის რაიონის მოსახლეობა სერიოზულად ზარალდება და არა მხოლოდ თხილის სეზონში – 1997 წლიდან მოყოლებული დღემდე გალის მშვიდობიანი მოსახლეობიდან 1800 ქართველი მოკლეს, 700 უგზო-უკვლოდ არის დაკარგული.

**თბილისი.** საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ლადო ჭანტურიამ რევოლუციური უწოდა ძალოვან უწყებათა რეფორმირების დროებითი კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მოკვლევისა და გამოძიების სამსახურების გაერთიანების თაობაზე. კონცეფციის მიხედვით, მოკვლევა და წინასწარი გამოძიება ერთ სტადიაში გაერთიანდება. მოხდება საგამოძიებო ორგანოების დეცენტრალიზაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოძიების უფლებამოსილება რამდენიმე უწყებას მიეცემა.

კომისია ახლო მომავალში მიიღებს კონცეფციას, რომელიც პროკურატურის რეორგანიზაციას გულისხმობს. გაიზრდება პროკურატურის როლი. პროკურორი სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მომენტიდან ჩაერთვება საქმეში და საქმეს სასამართლომდე მიიყვანს. პროკურორი გახდება პირი, რომელიც ყველა მნიშვნელოვან შემაჯამებელ საპროცესო დოკუმენტს შეადგენს. ამ დოკუმენტის მიხედვით, პროკურატურათა რაოდენობა შემცირდება. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ლიკვიდაციის წინააღმდეგია. ანტიკორუფციული საბჭოს ინიციატივის თანახმად, სამინისტროს ნაცვლად სპეციალური ჰოლდინგი უნდა ჩამოყალიბდეს, რომელიც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ სანარმოებს გაუწევს ზედამხედველობას. აღნიშნულ ინიციატივას გოცირიძე არ ეთანხმება და აცხადებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჰოლდინგური მმართველობის პრაქტიკა ზოგიერთ სახელმწიფოში ნამდვილად მიღებული ფორმაა, საქართველოს მაგალითზე მისი "აკვიატება" მიუღებელია. "რაც შეეხება ქონების მართვის სამინისტროს ფინანსთა სამინისტროსთან შეერთებას, ეს არალოგიკური და დაუშვებელია", - აღნიშნა გოცირიძემ. მისივე თქმით, ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო 1000 პროცენტზე მეტ საწარმოში ფლობს წილს და სადაც პრივატიზაციის პროცესი კიდევ რამდენიმე წელიწადს გაგრძელდება, ექსპერიმენტების ჩატარება მიუღებელია. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სექტემბერში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი, პარლამენტის იურიდიულ კომიტეტს მიმდინარე წელს განეული მუშაობის შესახებ, ანგარიშს ჩააბარებს. შს მინისტრი თავის გამოსვლაში ისაუბრებს, თუ როგორ იხსნება ქვეყანაში მომხდარი დანაშაულებები, ასევე დამსწრეთ გაცნობს მძიმე დანაშაულებების სტატისტიკას. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**ერევანი.** ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტი ორშაბათს, პარიზში საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ წინასწარ ანგარიშზე იმსჯელებს. როგორც ევროსაბჭოს პრესსამსახურში აღნიშნეს, პოლიტიკური საბჭოს წევრები საქართველოში შექმნილ ვითარებას სამხრეთ კავკასიის რეგიონზე შესაძლო ზეგავლენის ჭრილში განიხილავენ.

სამშაბათს, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტი სომხეთისა და აზერბაიჯანის ევროსაბჭოში შესვლისას ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შესახებ მოისმენს მოხსენებებს. მოსალოდნელია, რომ მონიტორინგის კომიტეტი აზერბაიჯანში 24 აგვისტოს გამართულ რეფერენდუმის შედეგებს განიხილავს. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სოხუმის საქალაქო სასამართლოს საკასაციო პალატამ ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე შვილის მკვლელობის მცდელობისათვის ბრალდებულ, აფხაზეთიდან დევნილ, 28 წლის ლელა კურდღელიას აღკვეთის ღონისძიება - სამთვიანი პატიმრობა შიანაპატიმრობით შეუცვალა. აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზი ექსპერტიზის დასკვნა გახდა, რომელმაც კურდღელიას აფექტის მდგომარეობაში ყოფნა დაადასტურა. კურდღელიამ სასჯელთაღსრულების დეპარტამენტის მე-5 საპყრობილე დატოვა. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** "ნაციონალური მოძრაობა" წინამურში დაგეგმილ ყრილობაზე პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბდება. მისი სახელწოდება იქნება - "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა". ყრილობაში, სადაც ბლოკის მომავალი სტრატეგიისა და ორგანიზაციულ საკითხებს განიხილავენ, "რესპუბლიკური პარტია" და "ეროვნულ ძალთა გაერთიანება" მიიღებენ მონაწილეობას.

დასმულ კითხვაზე, თუ როგორი ურთიერთობები ექნება "ნაციონალურ მოძრაობა - დემოკრატიულ ფრონტს" ზურაბ ჟვანიას, ირინა სარიშვილი-ჭანტურიასა და აკაკი ასათიანის პარტიებთან, რესპუბლიკური პარტიის ლედერმა დავით ბერძენიშვილმა არ გამორიცხა, რომ შესაძლოა, ამ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის რეალური შანსი გაჩნდეს, თუმცა, რა ფორმით - ამის თქმა ჯერჯერობით ძნელია. ამასთან, მისი აზრით, ხსენებულ კოალიციას სათანადო ძალა არ გააჩნია, რათა კონკურენტუნარიანი იყოს 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, თუმცა, 7 პროცენტიანი ბარიერის გადალახვის შემთხვევაში, "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტი" მათი სახით კარგი პარტნიორს შეიძენს. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**ჩეჩნეთი.** ჩეჩნეთის სამხრეთ-დასავლეთში დაუდგენელმა პირებმა 7 კილომეტრიანი, 6 ტონიანი ელექტროგადაცემის სადენი გაიტაცეს. ამის გამო, 50-მდე ქალაქი და სოფელი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. როგორც რუსეთის საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, ელექტროენერგიის უქონლობამ წყლით მომარაგების შეფერხება გამოიწვია, რის გამოც, ადგილობრივ მოსახლეობას წყალს სატვირთო მანქანებით აწვდიან. უშუქოდ დარჩენილ ტერიტორიაზე არსებული საავადმყოფოებიდან პაციენტები მეზობელი რაიონების საავადმყოფოებში გადაიყვანეს. ელექტროენერგიის მიწოდება მხოლოდ რამდენიმე დღეში განახლდება. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**ბონი.** ევროზონის ეკონომიკის აღდგენის ტემპები შედარებით დაბალია, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. ევროკომისიისთვის უკვე ნათელია, რომ 2002 წლის პროგნოზის გაუარესება მოუწევს. აპრილში საუბარი იყო ევროზონის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 1.4 პროცენტით გაზრდაზე, ახლა კი ეკონომისტები მხოლოდ ერთპროცენტიან მატებას ელიან. ბოლო პროგნოზების თანახმად, წლის მეორე ნახევარში ევროზონის მშპ 0.3 პროცენტით, ანუ ადრე ნავარაუდევზე ორჯერ ნაკლებად გაიზრდება.

მიმდინარე წლის უბედურებები – წარმოების მოცულობის ვარდნა ოკეანის ორივე მხარეს, დამანგრეველი წყალდიდობები ევროპაში და საბუღალტრო სკანდალები ამერიკაში – ევროკომისიას აიძულებს, პროგნოზირებისას მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს. ფრთხილობენ ინვესტორებიც. მათ ვერაფრით გაარკვიეს, სად უფრო ცუდად არის საქმე – ევროპაში თუ ამერიკაში.

უოლ-სთრითის სკანდალების ფონზე, ზაფხულში ევროპულმა ვალუტამ კურსით დოლარს გადაუსწრო, თუმცა, შემდეგ საწყის პოზიციებს დაუბრუნდა. ცალკეული სიახლეები ევროს, პერიოდულად, ამჟამადაც აახლოებენ დოლართან მიმართებაში პარიტეტულ მდგომარეობასთან.

ასეთ სიტუაციაში ნებისმიერი პოზიტიური მაკროეკონომიკური სიახლე მეტად მნიშვნელოვანია. ამჟამად ტრანსატლანტიკურ შეჯიბრში აშშ ლიდერობს. აგვისტოში აშშ-ში უმუშევრობის დონემ მოულოდნელად 5.9-დან 5.7 პროცენტამდე დაიკლო, ე.ი. 39 ათასი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა. **"24 საათი".**

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია. ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# ხუთშაბათს ერაყთან ომის ბედი უნდა გაირკვეს

პირველი გვერდიდან

ბლერი ამერიკაში გამგზავრების წინ. REUTERS

პარასკევის სატელეფონო საუბრებიც მოწმობს, საკმაოდ რთული ამოცანაა. ვაშინგტონი აცხადებს, რომ სადამ ჰუსეინის რეჟიმი ინტენსიურად ავითარებს მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამებს. თუ რა სტადიაშია ეს პროგრამები, ძნელი სათქმელია, რადგან ერაყი 1998 წლის შემდეგ გაერო-ს შეიარაღების ინსპექტორებს ქვეყანაში აღარ უშვებს. 4 წლის წინ ისინი ბაღდადიდან ჯაშუშობის ბრალდებით გააძევეს. ერთ-ერთი ყოფილი ინსპექტორის მონათხრობის თანახმად, ინსპექციების დროს ერაყი ყოველნაირად ცდილობდა, დაემალა თავისი შეიარაღება. ინსპექტორთა ყოველი გასვლის წინ ერაყელები, ძირითადად, რესპუბლიკური გვარდია, რადიოკავშირით ატყობინებდნენ შესაბამის დაწესებულებებს ინსპექტორების გასვლის შესახებ. იმისათვის, რომ ამგვარ რადიოკავშირზე კონტროლი განეხორციელებინა და ტყუილად არ ევლო, საინსპექციო მისიამ სპეციალური მოსასმენი აპარატურა შეიძინა, ჩაწერილ მასალას კი აშშ-ს სპეცსამსახურებს გადასცემდა ხოლმე, რადგან თავად მისი გაშიფვრის საშუალება არ ჰქონდა. როდესაც ამის შესახებ ერაყელებმა შეიტყვეს, მათ მთელი მისია დაუყოვნებლივ დაითხოვეს. აშშ აგრეთვე ამტკიცებს, რომ მასობრივი განადგურების იარაღი ისეთი კაცის ხელში, როგორიც სადამ ჰუსეინია, მთელი მსოფლიოსათვის საფრთხეს წარმოადგენს.

როდესაც უცხოეთის სახელმწიფოები აშშ-ს სთხოვენ, დაამტკიცოს, რომ ერაყი მართლაც ამზადებს ატომურ ბომბს, ამერიკელები ამბობენ, რომ გარკვეული სამხილი უკვე არსებობს, ხოლო როდესაც უეჭველი მტკიცებულებები გაჩნდება, უკვე ძალიან დაგვიანებული იქნება. ამაზე მესამე ქვეყნები მხრებს იჩეჩავენ და ამბობენ, რომ ასე ნებისმიერ ქვეყანას შეიძლება გამოუცხადო ომი.

თანაც, ამტკიცებენ ერაყთან ომის მოწინააღმდეგეები, მსოფლიოში ერთადერთი ორგანო, რომელსაც უფლება აქვს, ამ მიზეზით ერაყს ომი გამოუცხადოს, არის გაერო-ს უშიშროების საბჭო და არავითარ შემთხვევაში ამერიკის მთავრობა.

ძირითადად ამ მიზეზების გამო, ბუშის სამივე სატელეფონო თანამოსაუბრემ ამერიკას თავშეკავებისაკენ მოუწოდა. შირაკის თქმით, "თუ ერაყი კვლავაც წინააღმდეგობას გაუწევს ინსპექტორთა უპირობო დაბრუნებას, მაშინ გაერო-ს უშიშროების საბჭომ უნდა გადაწყვიტოს შესაბამისი ზომების მიღების საკითხი". რუსეთის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ომის დაწყება გაუმართლებელია როგორც საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებით, ისე გლობალური პოლიტიკის თვალსაზრისით. მსგავს პოზიციას იკავებს ჩინეთის ლიდერი ძიან ძემინიც. ანუ, უშიშროების საბჭოს ხუთიდან სამი ქვეყანა ომის წინააღმდეგია. ომის წინააღმდეგნი არიან სხვა ქვეყნებიც, მათ შორის აშშ-ს ძველი მოკავშირეები - კანადა და გერმანია. თანაც, როგორც რუსეთის პრეზიდენტი აცხადებს, ერაყთან ომის დაწყებამ, შესაძლოა, ეჭვქვეშ დააყენოს ანტიტერორისტული კოალიციის ერთიანობა.

რაც შეეხება ერაყის მეზობლებს, მათ შორის მის ძველისძველ მტრებს - ქუვეითს, საუდის არაბეთსა და ირანს, ომის დაწყებას თვით ისინიც კი ძალზე სარისკოდ მიიჩნევენ. არაბული ქვეყნების ლიგის ლიდერის ამრ მუსას განცხადებით, ერაყზე შეტევა "ჯოჯოხეთის კარიბჭის გახსნას" ნიშნავს. ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა მეთაურებს აშფოთებთ როგორც ერაყიდან შესაძლო მიგრანტთა დიდი რაოდენობა, ისე ის უკმაყოფილების ტალღაც, რომელიც არაბებს შორის მოყვება ბაღდადზე შეტევას. ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია აგრეთვე ის, თუ ვინ უნდა მართოს ერაყი ჰუსეინის დამხობის შემთხვევაში. სადამის რეჟიმის პირობებში, ძალაუფლების ალტერნატიული ცენტრების არსებობაზე საუბარიც ზედმეტია. ხელისუფლების ქურთებისა ან შიიტებისათვის გადაცემა კი ქვეყანას მუდმივი სამოქალაქო ომით ემუქრება. ესე იგი, ამერიკული არმია წლობით უნდა დარჩეს ერაყში. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ერაყის დამარცხება არც ისე იოლი და უმსხვერპლო იქნება, როგორიც თალიბანის რეჟიმის დამხობა იყო.

თეთრ სახლს კი არაფრის გაგონება არ სურს და აცხადებს, რომ ერაყში რეჟიმის შეცვლა საბოლოოდ აქვს გადაწყვეტილი. ომის ყველაზე დიდ მომხრეებად ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი, თავდაცვის მინისტრი რამსფელდი და უშიშროების საბჭოს მდივანი რაისი ითვლებიან. სწორედ ისინი მოითხოვდნენ ომის თუნდაც მარტო დაწყებას. ერთ ხანს თითქოს ბუშიც ამგვარ მიდგომას უჭერდა მხარს, მაგრამ, როგორც ჩანს, ტაქტიკა იცვლება. ბრიტანული და ამერიკული პრესა, თეთრი სახლიდან და დაუნინგ-სტრიტიდან გაჟონილ ინფორმაციებზე დაყრდნობით იტყობინება, რომ აშშ და დიდი ბრიტანეთი აპირებენ, "ბოლო შანსი მისცენ" ერაყს. სავარაუდოდ, ბრიტანეთი შეიტანს რეზოლუციის პროექტს, რომლითაც უშიშროების საბჭო ერაყს ულტიმატუმს წაუყენებს: ან ინსპექტორების მკაცრად განსაზღვრულ ვადაში დაშვება, ან ომი. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, აშშ და ბრიტანეთი ერაყს ინსპექციის იმდენად მძიმე პირობებს წაუყენებენ, რაზეც ბაღდადი ვერ დათანხმდება. მაშინ კი ვაშინგტონს ომის დასაწყებად გზა ხსნილი ექნება.

ერთი სიტყვით, ხუთშაბათს ბუში ერაყს ალბათ უკანასკნელად მოსთხოვს ინსპექტორთა ქვეყანაში შეშვებას. სავარაუდოდ, ამ დღეს გაირკვევა ისიც, ამერიკასა და ბრიტანეთს მარტო მოუწევთ ბრძოლა თუ მოკავშირეთა დახმარებით. თუმცა, ალბათ, მაშინაც გაურკვეველი დარჩება ის, თუ რატომ სურს ბუშს ასე დაჟინებით ერაყში ომის დაწყება.

# ივან რიბკინის დახურული ვოიაჟი საქართველოში

რუსეთის უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი, სახელმწიფო სათათბიროს ექს-სპიკერი ივან რიბკინი იმ იშვიათ რუს პოლიტიკოსთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც საქართველოს მიმართ ყოველთვის გამოხატავდნენ თავის კეთილგანწყობას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თბილისში ამჟამინდელი ვიზიტის ფარგლებში, იგი შეეცდება, ოდნავ მაინც განმუხტოს ორ ქვეყანას შორის ომის ზღვრამდე მისული დაძაბული ურთიერთობა.

ასეთია ვარაუდი, თავად სტუმრის შეფასებებზე კი ვერაფერს მოგახსენებთ - ივან რიბკინმა, დახურულ კარს მიღმა პრეზიდენტ შევარდნაძესთან პირისპირ შეხვედრის შემდეგ, რომელიც თითქმის ორი საათი გრძელდებოდა, ჟურნალისტებთან საუბარს თავი აარიდა. ყოველ შემთხვევაში, მისი მოდარაჯე მასმედია მშრალზე დარჩა - სტუმარი კანცელარიის შენობიდან "გააპარეს".

საქართველოს ლიდერთან რიბკინის შეხვედრის კონფიდენციალური ხასიათიდან გამომდინარე, ჟურნალისტების მსგავსად, ასევე ვერსიების დონეზე საუბრობს ჩვენი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელიც.

ირაკლი მენაღარიშვილი გამოთქვამს ვარაუდს, რომ რიბკინს აინტერესებს შევარდნაძის პოზიცია და შეხედულებები იმ პროცესებზე, რომლებიც კავკასიაში მიმდინარეობს.

**"24 საათი"**

# თავდასხმა ყირგიზეთის უშიშროების საბჭოს მდივანზე

პარასკევს, საღამოს ბიშკეკში თავს დაესხნენ ქვეყნის უშიშროების საბჭოს მდივანსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელს - მისილ აშირყულოვს. თავდამსხმელებმა მას ფეხებთან აუფეთქეს ორი საბრძოლო ხელყუმბარა. აშირყულოვი გადარჩა, თუმცა, ამჟამად მძიმე მდგომარეობაშია და საავადმყოფოში იმყოფება.

აშირყულოვს ქვეყანაში, პრეზიდენტის შემდეგ, ყველაზე გავლენიან ადამიანად და აკაევის სავარაუდო მემკვიდრედ ასახელებდნენ, ამიტომ მასზე თავდასხმა პრეზიდენტის პრესმდივანმა სახელმწიფოებრიობის, სამოქალაქო მშვიდობისა და სტაბილურობის ხელყოფის მცდელობად შეაფასა.

ყირგიზეთში, უკვე რამდენიმე თვეა, სერიოზული კრიზისია. მღელვარება მას შემდეგ დაიწყო, რაც ხელისუფლებამ ყირგიზეთის ტერიტორიის რამდენიმე ასეული კვადრატული კილომეტრი ჩინეთს გადასცა. ქვეყნის ტერიტორიის ხელყოფის წინააღმდეგ გამოვიდა დეპუტატი ბეკნაზაროვი, რომელმაც პრეზიდენტი ღალატში დაადანაშაულა. საპასუხოდ, ხელისუფლებამ მას კორუფციაში დასდო ბრალი და დააპატიმრა. დაპირისპირებამ სწრაფად მიიღო რეგიონული ხასიათი: ყირგიზეთი ორი დიდი რეგიონისაგან შედგება, რომლებიც ერთმანეთს მხოლოდ ერთი გზით უკავშირდებიან. აკაევი ჩრდილოელია, ბეკნაზაროვი - სამხრეთელი. ჩრდილოეთი უფრო ცივილიზებულ მხარედ ითვლება, მაშინ როდესაც აგრარული სამხრეთი შედარებით ჩამორჩენილია და უფრო ისლამისტურიც.

ბეკნაზაროვის მომხრეების მიერ გამართულ მიტინგზე პოლიციამ ხალხს სროლა დაუწყო, რის შედეგადაც 6 კაცი დაილუპა. ამის შემდეგ ხელისუფლებამ უკან დაიხია, ციხიდან გაათავისუფლა ბეკნაზაროვი, გადააყენა მინისტრთა კაბინეტი და ოპოზიციას დიალოგის დაწყება შესთავაზა, მაგრამ ამ ზომებმა საქმეს ვერ უშველა. სწორედ ამ დღეებში სამხრეთიდან ბიშკეკისაკენ ადამიანთა რამდენიმე ასეულკაციანი ჯგუფი მიემართება, რომელიც პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვს.

სავარაუდოდ, აშირყულოვზე თავდასხმა, რომელიც პრეზიდენტ აკაევის აშშ-ში დაგეგმილ ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე მოხდა, კიდევ უფრო გაამწვავებს ვითარებას.

ეკონომიკა

# ელიტური ქართული ღვინოები სახელმწიფო კონტროლის ქვეშ ექცევა

პირველი გვერდიდან

თანამედროვე მარანი.

დამზადება მხოლოდ კახეთის ზონაში უნდა მოხდეს, ხოლო ჩამოსხმა - საქართველოს ფარგლებში.

**"ქართული ღვინოების ფალსიფიცირება ხდება არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც. ეს ცვლილებები, რომელიც კანონში შევიდა, მიმართულია სწორედ ფალსიფიკაციის აღსაკვეთად. ახალი წესის თანახმად, თუ მეწარმეს პრეტენზია აქვს რომელიმე ადგილწარმოშობის ღვინის წარმოებაზე, მან კანონში მოცემული ნორმის დაცვა უნდა უზრუნველყოს. როგორ შეიძლება, რუსეთში მზადდებოდეს "ქინძმარაული"?** – აცხადებს დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი **პეტრე მესხიძე.**

"სამტრესტის" მკაცრ კონტროლს დაექვემდებარება ღვინის წარმოების მთელი პროცესი, რაც მეწარმის მიერ ხორციელდება, დაწყებული ყურძნის შესყიდვიდან და დამთავრებული ჩამოსხმული ღვინის რეალიზაციაში გაშვებამდე. როგორც პეტრე მესხიძე აცხადებს, დღესდღეობით არავინ იცის, ვინ რამდენ ყურძენს აწარმოებს ან რამდენ ღვინოს ამზადებს. როგორც ირკვევა, ფალსიფიკატორები აყალბებენ არა მარტო ღვინოს, არამედ ეტიკეტებსაც. ახალი კანონი ღვინოების მარკირებასაც ეხება და მასზეც აწესებს კონტროლს.

პეტრე მესხიძის თქმით, აღნიშნული ცვლილებების მომზადებისას სამინისტროს ჰქონდა კონსულტაციები მეღვინეებთანაც. თუმცა, მესხიძე აცხადებს, რომ, პირველ რიგში, კანონმა მომხმარებლის უფლებები უნდა დაიცვას.

ფრაქცია "მრეწველების" წევრი ზურაბ ტყემალაძე ამბობს, რომ ცვლილებების განხორციელება დროული იყო, მით უმეტეს, მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში პრიორიტეტულ დარგად არის აღიარებული.

**"ახალ კანონს, ძირითადად, დადებითად ვაფასებ. საქართველო ვაზის ქვეყანაა და ამ დარგს სერიოზული მზრუნველობა სჭირდება. მართალია, კანონი ითვალისწინებს ფალსიფიკაციასთან ბრძოლას, მაგრამ ამის რეალურად განხორციელება ისევ აღმასრულებელ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. იმედი მაქვს, რომ ეს კანონი ქაღალდზე დაწერილი არ დარჩება,"** – დასძინა ზურაბ ტყემალაძემ.

ცვლილებები საქართველოს კანონში "ვაზისა და ღვინის შესახებ" ძალაში 2003 წლის იანვრიდან შევა. ამ სიახლეს მხარი დაუჭირა როგორც პრეზიდენტმა შევარდნაძემ, ისე პარლამენტმაც.

# „ტოტალფინაელფის" შემოსავლები შემცირდა

ფრანგულმა ნავთობგიგანტმა "ტოტალფინაელფმა" მეორე კვარტალში თავისი წმინდა მოგების 23 პროცენტით – 1.63 მილიარდ ევრომდე შემცირების შესახებ განაცხადა. თუმცა, ანალიტიკოსები სიტუაციას საგანგაშოდ არ მიიჩნევენ, რადგან სხვა ნავთობკომპანიებს საქმეები კიდევ უფრო ცუდად მისდით. მაგალითად, მსოფლიოს უმსხვილესი ნავთობკომპანის - "ექსონ მობილის" კვარტლური მოგება 41 პროცენტით შემცირდა. "ბრითიშ პეტროლიუმი" და "შელი" "ექსონს" სულ მცირედით ჩამორჩნენ.

ნავთობკომპანიები წლის პირველ ნახევარში ენერგომატარებლებზე ფასების ვარდნამ და საწვავზე მოთხოვნილების მკვეთრმა დაცემამ დააზარალა. მეორე კვარტალში "ბრენტის" მარკის ნავთობზე ფასი, საშუალოდ, რვა პროცენტით შემცირდა. სპარსეთის ყურეში მეორე ომის სამზადისმა, შესაძლოა, მენავთობეებს უშველოს – ომის შემთხვევაში ხომ, ნავთობზე ფასები აიწევს.

ჯერჯერობით "ტოტალფინაელფი" წარმოებას ზრდის. ნავთობისა და გაზის მოპოვებამ 10 პროცენტით მოიმატა.

# ავიაკომპანიებმა კრიზისს, შესაძლოა, გაისად დააღწიონ თავი

ბრიტანული ავიაკომპანია "ბრითიშ ეირვეიზის" სამგზავრო გადაზიდვების მოცულობა აგვისტოში 10 პროცენტით შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ მგზავრთნაკადმა ტრანსატლანტიკურ რეისებზე 7.6 პროცენტით იკლო, კომპანია ამ რეისებს, ჯერჯერობით, არ ამცირებს. ჰოლანდიური KLM-ი კი უკიდურეს ზომებზე წავიდა, რაც ფასდაკლებების დაწესებასა და ხარჯების შემცირებაში გამოიხატა. შედეგად, სამგზავრო გადაზიდვების მოცულობა აგვისტოში, ივლისთან შედარებით, მხოლოდ ორი პროცენტით შემცირდა. სამაგიეროდ, შარშანდელ აგვისტოსთან შედარებით, ოდნავ მოიმატა კიდეც.

ასე რომ, ზაფხულმა, ტრადიციის საპირისპიროდ, სულაც არ მოუტანა შვება ავიაკომპანიებს. საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია მიიჩნევს, რომ ავიაგადაზიდვების ინდუსტრია კრიზისს 2003 წლის ბოლოსთვის დასძლევს.

სამართალი

# სენსაცია უსაფუძვლოდ

## პიტერ შოუ, შესაძლოა, პანკისში არც იყოს

პირველი გვერდიდან

კობა ნარჩემაშვილი. იური ლოგოდინის ფოტო

ჩატარების შესაძლებლობების შესახებ იმსჯელა; რომ თბილისში რუსეთის შს სამინისტროს რამდენიმე წარმომადგენელი ჩავა - ქართველებისთვის დამნაშავეების გამოვლენაში დახმარების გასაწევად, რომ, პანკისის ხეობაში სიტუაციის მოგვარებასთან დაკავშირებით, საქართველო-რუსეთის პოზიციები დაახლოვდა.

სწორედ ეს გამონათქვამები მოინათლა რუსეთის პრესის მიერ სენსაციურად და რუსული პოლიციის პანკისში შესვლის სარჩელიც დაედო. სწორედ ეს სიტყვები გაუმეორა გრიზლოვმა კობა ნარჩემაშვილს, რომელმაც თბილისიდან შეკითხვებით შეწუხებულმა რუს კოლეგას დაურეკა და ახსნა-განმარტება სთხოვა. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი დღეს უკვე დარწმუნებულია, რომ არაფრის გამო აურზაურის ატეხვას კონკრეტული პოლიტიკური მიზნები ჰქონდა.

კობა ნარჩემაშვილის განცხადებით, მისი და რუსეთის შს მინისტრის შეთანხმება მხოლოდ ოპერატიული ინფორმაციის გაცვლით შემოიფარგლება, რაც, სპეციალური ხელშეკრულების თანახმად, ისედაც ხდება დსთ-ს წევრი სახელმწიფოების სამართალდამცველ ორგანოებს შორის. უბრალოდ, ამჯერად აქცენტი პანკისის ხეობაზე გაკეთდა და ინფორმაციის გაცვლის გააქტიურებაზე მოხდა შეთანხმება. რუსი სამართალდამცველებიც სწორედ ამგვარი ინფორმაციის მისაღებად აპირებენ ჩამოსვლას და არა ქართველ პოლიციელებთან ერთად პანკისის ხეობაში კრიმინალების სადევნელად. ამ საქმეს, ნარჩემაშვილის აზრით, ქართველი სამართალდამცველებიც წარმატებით უმკლავდებიან. კობა ნარჩემაშვილი კრიტიკულად აფასებს რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის ნათქვამს, თითქოს პანკისში ქართველების მიერ ორგანიზებული ანტიკრიმინალური ღონისძიებები დადგმული თეატრალური სანახაობაა, რომლის რეჟისურასა და სამსახიობო ოსტატობას რუსი მინისტრი ბრწყინვალეს უწოდებს, ეფექტურობას კი ნულოვან შეფასებას აძლევს. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი კი ამ ოპერაციით მარტო იმიტომაა კმაყოფილი, რომ ხეობაში შინაგანი ჯარი დგას, ოპერაციის მსვლელობისას სისხლი არ დაღვრილა და პანკისში არც ქურდობა ხდება, არც ძარცვა და არც ყაჩაღობა. მისი აზრით, არის უფრო ხელშესახები შედეგებიც – ის ცხრა ძებნილი, რომელიც ამ ბოლო ხანებში დააკავეს და რომელთაგან ერთი არაბია. ნარჩემაშვილის თქმით, ოპერაცია გრძელდება და მოსალოდნელია კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი ოპერატიული ინფორმაციის რეალიზება.

თუმცა, ამას, შესაძლოა, სულაც არ მოჰყვეს პიტერ შოუს დანაპირები გათავისუფლება. კობა ნარჩემაშვილი, უშიშროების მინისტრისგან განსხვავებით, დარწმუნებული არ არის, რომ გატაცებული ბრიტანელი ბიზნესმენი მაინცდამაინც პანკისის ხეობაში ჰყავთ დატყვევებული, თუმცა ამბობს, რომ ამის თაობაზე გარკვეული ოპერატიული ინფორმაცია აქვთ. დანამდვილებით პანკისში გადამალული კი, ნარჩემაშვილის თქმით, მხოლოდ მამა ბასილ მაჩიტაძეა.

რაც შეეხება ანტიკრიმინალური ღონისძიებების გაფართოებასა და პანკისიდან მის სხვა რეგიონებშიც გადატანას, კობა ნარჩემაშვილმა ეს ცნობა უარყო. შიდა ქართლის მოსახლეობის მოთხოვნის საპასუხოდ კი, რომლებიც, გართულებული კრიმინალური სიტუაციის გამო, შიდა ქართლშიც პანკისის მსგავსი ოპერაციის ჩატარებას ითხოვენ, შს მინისტრმა იქ სპეციალური ღონისძიებების დაგეგმვის შესახებ განაცხადა, თუმცა, არა იმ სახით, როგორც ეს პანკისის ხეობაში ხდება.

# შეტაკება ოს კრიმინალებსა და მილიციას შორის

გუშინ შიდა ქართლში მორიგი თავდასხმა მოხდა. ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიაზე, შერეული სამშვიდობო ძალების სიახლოვეს, ოს მილიციელებს და ექვს შეიარაღებულ ნიღბიანს შორის გამართული შეიარაღებული შეტაკება მსხვერპლით დასრულდა. ორმხრივი სროლის შედეგად ცხინვალის მილიციის ოფიცერი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. მილიციის რიგითი თანამშრომელი მძიმედ დაიჭრა, ასევე მძიმედ დაიჭრა ერთ-ერთი თავდამსხმელი - ალიკ ალბოროვი. ორივე დაჭრილი მოთავსებულია ცხინვალის საავადმყოფოში, ალბოროვი მილიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

არსებული ინფორმაციით, ნიღბებით სახედაფარული და მაყუჩიანი ავტომატებით შეიარაღებული თავდამსხმელები ცხინვალელი კრიმინალები იყვნენ. ცხინვალის მილიციის ორი თანამშრომელი, როკის გვირაბის გავლით, ერგნეთის ბაზრობაზე მიმავალ დიდი რაოდენობით კონტრაბანდული ტვირთით დატვირთულ მანქანებს აცილებდა. თავდამსხმელებმა, რომლებიც ცხინვალში მოქმედი ერთ-ერთი კრიმინალური დაჯგუფების წევრები არიან და, სხვა შავ ბიზნესთან ერთად, რეგიონში კონტრაბანდული ტვირთის შესვლა-გამოსვლასაც აკონტროლებენ, მილიციის თანამშრომლებს ტვირთის გატარებისთვის გარკვეული თანხა მოსთხოვეს. ოს კრიმინალებსა და მილიციელებს შორის დაწყებული საქმის გარჩევა კი შეტაკებით დასრულდა.

# კოლონიაში დიდი ოდენობით ნარკოტიკები შეჰქონდათ

თამარ კაკიტაძე

გუშინ ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს ნარკომანიასთან და ნარკობიზნესთან ბრძოლის ეროვნული ბიუროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის N 1 დანესებულების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ირაკლი რცხილაძე დააკავეს.

რცხილაძეს რუსთავის N 1 კოლონიაში განსაკუთრებით დიდი ოდენობის - 54,4 გრ. ოპიუმი და 0,9 გრ. ჰეროინი შეჰქონდა. კონკრეტულად ვის უნდა მიეღო აკრძალული ნივთიერება, სამართალდამცველებისთვის, ჯერჯერობით, უცნობია. ნარკოტიკული ნივთიერებების შენახვა-გადაზიდვის მუხლით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს ქვემო ქართლის შს საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს.

როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, მიხეილ ფხაკაძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, აღნიშნულ ფაქტამდე კოლონიებში ასეთი დიდი რაოდენობით ნარკოტიკების შეტანის მცდელობა არასოდეს ყოფილა შემჩნეული. სხვათა შორის, ფხაკაძისავე განცხადებით, სამართალდამცველებს რუსთავის N 1 დაწესებულებიდან ნარკოტიკული ნივთიერებები არასოდეს ამოუღიათ.

# ზოდელავას დავალება გზაში დაიკარგა

ნანა ქადაგიშვილი

ჯერ კიდევ ივლისის ბოლოს თბილისის მერმა ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე ქალაქის ანტიკორუფციულ სამსახურს ქალაქში მიმდინარე ყველა მშენებლობის შემოწმება და ანალიზის წარდგენა მოსთხოვა. მართალია, ვანო ზოდელავას დავალების შესრულების ვადა არ დაუკონკრეტებია, მაგრამ, ამ ხნის მანძილზე, მერის მოთხოვნის შეუსრულებლობის მიზეზი ეს არ გახლავთ. როგორც აღმოჩნდა, ვანო ზოდელავას დავალებას ანტიკორუფციულ სამსახურამდე არც მიუღწევია. ერთი თვის განმავლობაში საკუთარი მოთხოვნის ბედით არც ქალაქის ხელმძღვანელობა დაინტერესებულა და თათბირზე ნათქვამი სიტყვები მხოლოდ მერიის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ პრესრელიზებს შემორჩა. როგორც მერიაში განგვიმარტეს, ეს გაუგებრობა მდივნის ბრალი უნდა ყოფილიყო. თათბირზე გაცემულ დავალებებს მდივანი იწერს და მერე შესაბამის სამსახურებს უგზავნის. შესაძლოა, მერის ზემოთ აღნიშნული მოთხოვნა მდივანმა არ ჩაიწერა და ასე დაიკარგაო, ვარაუდობენ მერიაში.

მონდომება იყოს, თორემ, ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის მიღება არქიტექტურის მშენებლობის ინსპექციისგან უკეთესად შეიძლება. ეს უწყება, ფაქტობრივად, ერთადერთი საქალაქო სამსახურია, ვისაც მიმდინარე მშენებლობების სისტემატური კონტროლი ევალება და, შესაბამისად, ანალიზის გასაკეთებლად საჭირო ცნობებიც აქვს.

როგორც არქმშენის ინსპექცია აცხადებს, ქალაქში უნებართვოდ, ძირითადად, წვრილ-წვრილი ობიექტები შენდება. მსხვილი ობიექტების მეპატრონეებს კი საჭირო დოკუმენტები თითქმის ყოველთვის წესრიგში აქვთ. ეს ნებართვები როგორ გაიცა, სხვა საქმეა, მაგრამ, ფაქტია, რომ აქვთ. თუმცა, დარღვევების აღმოჩენა არც მსხვილ ობიექტებზე ჭირს. ხშირია შემთხვევა, როცა მშენებლობა პროექტის ან ხარისხის დარღვევით მიმდინარეობს.

ასე რომ, არქმშენის ინსპექციის 43 თანამშრომელს საქმე თავზე საყრელად აქვს. თუმცა, საქმიანობა მხოლოდ ამის გამო არ ეძნელება. სამეწარმეო საქმიანობის შესახებ კანონს ეს მაკონტროლებელი უწყებაც უჩივის და სასამართლოებს მიკერძოებაში ადანაშაულებს. "თუ მშენებელი იურიდიული პირია, მის ობიექტს სასამართლოს ნებართვის გარეშე ვერ შევამოწმებთ. ნებართვის მისაღებად კი დასაბუთებული ეჭვია საჭირო. არადა, თუ ობიექტი არ შევამოწმეთ, ეჭვი როგორ დავასაბუთოთ. კერძო მშენებლობების შემოწმებას სასამართლოს ნებართვა არ სჭირდება, მაგრამ პრობლემები აქაც გვაქვს. თუ დაჯარიმებული მშენებელი არ დაგვემორჩილა და ჯარიმა არ გადაიხადა, საქმეს სასამართლოს გადავცემთ. ეს უკანასკნელი კი ჩვენს მოთხოვნას ხან ნაწილობრივ, ხან კი საერთოდ არ აკმაყოფილებს," – აცხადებს არქმშენის ინსპექცია და ფაქტებსაც გვისახელებს. მაგალითად, გლდანის ხევის დასახლების №3 კორპუსის მცხოვრები მოქალაქე ინსპექციამ 3000 ლარით დაჯარიმა, რადგან იგი ამავე კორპუსში სათავს პროექტის გარეშე აშენებდა. ინსპექციამ ეს საქმე გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოს გადასცა. სასამართლომ კი ეს მოქალაქე მხოლოდ 200 ლარით დაჯარიმა. ინსპექცია მოსამართლის ასეთ გადაწყვეტილებას მიკერძოებად თვლის, მოსამართლე კი განმარტავს, რომ მოქალაქემ მშენებლობა 20001 წლის ივლისამდე დაიწყო. ფიზიკური პირების დაჯარიმების შესახებ კი დამატება კანონში მხოლოდ 2001 წლის 11 ივლისიდან შევიდა. მანამდე ასეთ საქმიანობაზე ფიზიკური პირები არ ჯარიმდებოდნენ.

არქმშენის ინსპექციის მთავარი პრობლემა მაინც ანაზღაურებაა. ინსპექციის შტატიან ინსპექტორს ხელფასი 40 ლარი აქვს. მართალია, ხელფასის გარდა, ინსპექციას ამოღებული ჯარიმებიდანაც ეკუთვნის წილი - მთლიანი თანხის 25 პროცენტი, მაგრამ, როგორც უწყების უფროსის მოადგილე ბესო ჭიჭინაძე ამბობს, აქედანაც ბევრი არაფერი რჩებათ. მაგალითად, შარშან ინსპექციას უნებართვო თუ დარღვევებით მიმდინარე მშენებლობებიდან 39 ათასი ლარის ჯარიმა ამოუღია. აქედან მისი წილი 9 ათას ლარამდე გამოდის. ინსპექციის ხელმძღვანელობას ეს თანხა განეული საქმიანობის ღირებულებად ნამდვილად არ მიაჩნია. "ჩვენს ინსპექტორებს მექრთამეობაში ადანაშაულებენ, მათ ანაზღაურებას კი არავინ კითხულობს. ჩემს გერმანელ კოლეგებს ხელფასი თვეში 20 ათასი მარკა აქვთ. ქართველ ინსპექტორსაც რომ ნორმალური ანაზღაურება მისცე, ისიც პატიოსნად იმუშავებს," – აცხადებს ბესო ჭიჭინაძე.

ასე რომ, საქმის კეთება ჭირს, თორემ ინფორმაციის მოპოვება არც ისე ძნელია. ქალაქის ხელმძღვანელობას კი არც ეს ეიოლება.

# კიდევ ერთხელ დევნილებსა და „საფოსტო ბანკზე"

მაკა ჯაიანი

კიდევ ერთხელ წამოიწია აფხაზეთიდან დევნილების კუთვნილი ფულადი შემწეობებით უზრუნველყოფის საკითხმა. ოფიციალურად რეგისტრირებული დევნილების ნაწილმა საკუთარი თავი სიებში ვერ აღმოაჩინა და სახელმწიფო დახმარება ვერ მიიღო. საქართველოს კონტროლის პალატამაც მოამზადა და პრეზიდიუმზე განიხილა "საფოსტო ბანკის" შემოწმების დასკვნა, რომელიც ამ ბანკის მიერ დევნილების 1999-2001 წლებში მომსახურებას შეეხება.

1999-2001 წლებში, "საქართველოს საფოსტო ბანკის" ქუთაისის ფილიალსა და ქუთაისის ფილიალის წყალტუბოს განყოფილებაში, ლტოლვილთა სტატუსის მქონე, საეჭვოდ მიჩნეულ პირებზე გაცემული თანხების რეალობის შემოწმებისას დადგინდა, რომ, გაორებაში მყოფი დევნილთა ოჯახების წევრებიდან, 25 ოჯახის საეჭვოდ მიჩნეული 40 წევრი, რომელიც ქუთაისში იღებდა შემწეობებს, 2001 წლის 1 აპრილიდან არ ირიცხებოდა ქუთაისის ლტოლვილთა კომიტეტის უწყისებში და მათ 2001 წლის 15 ნოემბრის მდგომარეობით სტატუსი არ აღდგენიათ. მიუხედავად ამისა, შესამოწმებელ პერიოდში მათ 7,3 ათასი ლარი აქვთ აღებული.

დევნილთა სტატუსის რეალობის დასადგენად, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ შემწეობის თანხების გაცემა შეუჩერა ისეთ დევნილ დედმამიშვილებს, რომელთა დაბადების თარიღებს შორის სხვაობა 9 თვეზე ნაკლები იყო. ასეთი 24 პიროვნებიდან 2001 წლის 15 ნოემბრისთვის სტატუსი აღდგენილი ჰქონდა 20-ს, ხოლო 4-ის რეალობა არ დასტურდებოდა. მიუხედავად ამისა, მათზე გაიცა 1,1 ათასი ლარი. სტატუსის რეალობის დასადგენად, შემწეობების გაცემა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ასევე შეუჩერა მხოლოდ არასრულწლოვანი წევრებისგან შემდგარ დევნილ ოჯახებს. ასეთი დევნილებიდან, 2001 წლის ნოემბრისთვის, სტატუსი დადასტურებული არ ჰქონდა 6 ოჯახის 8 წევრს, თუმცა, "საფოსტო ბანკის" ქუთაისის ფილიალმა მათზე 1,5 ათასი ლარი გასცა.

ანალოგიური შემოწმება ჩაატარა კონტროლის პალატამ "საფოსტო ბანკის" აფხაზეთის №2, სენაკის, ხობის ფილიალებსა და ზუგდიდის ფილიალის წალენჯიხის განყოფილებაში. დადგინდა, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ცნობით, 2001 წლის 15 ნოემბრისთვის სამეგრელოს რეგიონში დევნილის სტატუსი არ ჰქონდა აღდგენილი 595 პიროვნებას. 66 მათგანზე 2001 წლის იანვარ-ივნისში გაცემულია 2000 წლის ოქტომბერ-დეკემბრისა და 2001 წლის იანვარ-მარტის შემწეობის თანხები, სულ 2924 ლარი.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემებით, 2001 წლის 15 ნოემბრისთვის, ამ კატეგორიის დევნილთაგან სტატუსი დადასტურებული არ ჰქონდა 515 პიროვნებას. აქედან 84-ზე, 2001 წლის იანვარ-ივნისში, 5254 ლარია გაცემული. კონტროლის პალატის დასკვნის მიხედვით, "საფოსტო ბანკის" განყოფილების მიერ დარღვეულია არასრულწლოვანი წევრებისგან შემდგარ ოჯახებზე შემწეობის თანხების გაცემის წესი.

მთლიანად, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში, გაორებაში მყოფ, აგრეთვე, არასრულწლოვანი წევრებისგან შემდგარ დევნილთა ოჯახებზე და იმ დევნილ დედმამიშვილებზე, რომელთა დაბადების თარიღებს შორის სხვაობა 9 თვეზე ნაკლებია, "საქართველოს საფოსტო ბანკის" ფილიალებიდან 1047.9 ლარია გაცემული.

# მორიელებს შემოდგომაზე ითვლიან

## რეკომენდაცია მათთვის, ვინც სტუმრად მორიელს ელის

ნანა ქადაგიშვილი

ვეტერინარულ სამსახურებსა და ზოოლოგიის ინსტიტუტში ქვეწარმავლებისა და მორიელებისგან შეშფოთებული თბილისის მოსახლეობის სატელეფონო ზარები შემოდგომაზეც არ წყდება. რამდენიმე მოქალაქემ "24 საათშიც" დარეკა და მორიელების მომრავლების მიზეზთა გარკვევა გვთხოვა. მოქალაქეთა შეშფოთება უსაფუძვლო არ არის, რადგან, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ქვეწარმავლები შემოდგომით უფრო აქტიურობენ. ზაფხულის სიცხე მათზეც მოქმედებს, ამიტომ თბილი შემოდგომა მათთვის ზაფხულზე უფრო საყვარელი პერიოდია. პატარ-პატარა ქვეწარმავლები და მორიელებიც ამ დროს იჩეკებიან. თუმცა, როგორც ზოოლოგიის ინსტიტუტში განგვიმარტეს, მდგომარეობა არც ისეთი საპანიკოა, როგორც ეს მორიელნასტუმრებ თბილისელებს ჰგონიათ. ქალაქში მორიელები ყოველთვის იყო, არის და იქნება, მათი რაოდენობა კი თვით მოსახლეობაზეა დამოკიდებული.

ზოოლოგები აცხადებენ, რომ თბილისის მოსახლეობაში მორიელების ზომა-წონა-ფერისა და ხასიათის შესახებ არასწორი ინფორმაციები ვრცელდება. მაგალითად, ხშირად გაიგებთ, რომ ბოლო დროს მორიელები უფრო გაშავდნენ, სიგრძეშიც 6-8 სმ-მდე გაიზარდნენ და შემოდგომით განსაკუთრებით აგრესიულობენ. სპეციალისტებს ასეთ განცხადებებზე ეღიმებათ და განმარტავენ, რომ თბილისში არსებობს მხოლოდ ე.წ. ჭრელი მორიელი. ახლად გამოჩეკილი უფრო ღია ფერისაა, ხოლო როცა იზრდება, – მუქდება. რაც შეეხება ზომას, მათი სიგრძე 65 მმ-ს არ აღემატება, საშუალოდ კი დედალი მორიელი 50,2 მმ. სიგრძისაა, მამალი – 49,2 მმ. ამასთან, მორიელები არც ისე აგრესიულები ყოფილან, როგორც მათ ჭორს უვრცელებენ. თუკი იქით არ შეაწუხე ან არ შეაშინე, აქეთ არ გერჩის. ღამით მძინარეს სხეულზეც რომ გადაგიაროთ, არაფერს გერჩით (თუკი, რა თქმა უნდა, გაუნძრევლად იწვებით). არც მორიელის ნაკბენი ყოფილა ყოველთვის და ყველასთვის სასიკვდილო. ჯანმრთელი და ზრდასრული ადამიანისთვის იგი ნაკლებ სახიფათოა, არ კლავს, მხოლოდ ანთებით პროცესებს იწვევს. ახალშობილებისა და მოხუცებისთვის კი მორიელის ნაკბენი შეიძლება, მართლაც მომაკვდინებელი აღმოჩნდეს.

ასე რომ, ამ 50-60 მმ. სიგრძის შხამიანი არსების გვერდით ცხოვრება საფრთხიანი და უსაფრთხო ნამდვილად არ არის. ამიტომ გთავაზობთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის ავთანდილ ჭოლოკავას რეკომენდაციებს, თუ როგორ გავუმკლავდეთ მორიელებს. მათ მოსასპობად მწერების სანინააღმდეგო ნებისმიერი ინსექტიციდი (შხამქიმიკატი აეროზოლის სახით) გამოდგება. ოთახში, სადაც სტუმრად მორიელი ელით, დახურეთ ყველა კარი და ფანჯარა, აიხვიეთ ცხვირ-პირი, 20 წამის განმავლობაში აეროზოლი მთელს ოთახში მოაფრქვიეთ, შემდეგ სწრაფად გამოდით და კარი გამოკეტეთ. ინსექტიციდმოსხმული ოთახი მხოლოდ 2-3 საათის შემდეგ გააღეთ და გაანიავეთ. საერთოდ კი, ქვეწარმავლებისა და მორიელების საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალება სისუფთავეა. ოთახსა და ეზოში რაც ნაკლები ობობა და თაგვი გეყოლებათ, მორიელები და ქვეწარმავლებიც ნაკლებად გაჩნდება. თბილისის საცხოვრებელ ადგილებში მათი მომრავლება სწორედ ანტისანიტარიის ბრალია, თორემ როგორც ზოოლოგებო გვარწმუნებენ, ქალაქში მორიელები და ქვეწარმავლები ადრეც ასეთი რაოდენობით იყო, უბრალოდ, ახლა ფერდობებიდან საცხოვრებელ ტერიტორიებისკენ გადმოინაცვლეს, რადგან უსუფთაო ქალაქში მათთვის საკბილო ბევრია.

თვალსაზრისი

# სტერეოტიპების მსხვრევა

## პირველი შთაბეჭდილება

ჯაბა იოსელიანი




აკა მორჩილაძის რომანი "შენი თავგადასავალი" ჩვენი დროის მცირე ოდისეაა, ცხოვრებისეულ, ისტორიულ, ლიტერატურულ, ხელოვნებისეულ რემინისცენციებზე აგებული ბრწყინვალე სატირა. თანამედროვე გმირის, ასე ვთქვათ, მხატვრული ენცეფალოგრამის წარმოჩენაა, სადაც არაცნობიერი შეთხზულია და კომიზმის ყველაზე მაღალი რანგის იუმორი - თვითირონია ბატონობს. რომანში არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება სიუჟეტის არქიტექტონიკას, არც ფაბულის თხრობის დამაჯერებლობას, ისინი იმდენად ვითარდებიან, რამდენადაც ცნობილი მოვლენის ან ისტორიული ფაქტის გასატრიზაებლად გამოიყენება. "ხუნტური რევოლუციისა" და ქალების მიერ პუოის რიგში დაპორჭყნილ ძია ოთარჩიკას ისტორიის აღწერა სულაც არ არის საჭირო, საქართველოში ყველასათვის ცნობილია დავა იმის შესახებ, 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები, ხუნტის მიერ მოხდენილი გადატრიალება იყო თუ სახალხო რევოლუცია; არც ის არის ვინმესთვის საიდუმლო, რომ ე.წ. უხერხემლო ინტელიგენტ ძია ოთარჩიკას აუცილებლად დაპორჭყნიდნენ გაავებული ქალები, განსაკუთრებით მაშინ, თუ თავისი მიამიტობით რაიმე აუგი წამოსცდებოდა გამსახურდიას მისამართით. ჯერ არც ის არის დავიწყებული, რომ ამერიკაში ზანგების უმოწყალო ჩაგვრა და საბჭოთა ადამიანის ვითომ ძმური განწყობა კომუნისტური პროპაგანდის ერთ-ერთი კლიშე იყო. სირცხვილია, - ამბობს სემ-დილერზე (წამლის ბარიგა და მთავარი პერსონაჟის ჩიჩერონე - ჯ.ი.) გენერალი სიგუტკინი (ეს ის სიგუტკინია, ვისაც აფხაზეთის ომის დროს ბრალდებოდა ყველაფერი, ისევე როგორც 9 აპრილის დარბევა - გენერალ როდიონოვს). "...თუ როდიონოვი, ანჯელა დევისი და ამხანაგი ალიენდე ზანგთა უფლებებისთვის იბრძოდნენ, ეს ცრუ კაციც ზანგია და ისინიც". ნაწარმოების ასეთი პასაჟები აღმოცენებულია ამ მოვლენებისადმი ხალხის მოაზროვნე ნაწილის დამოკიდებულებისგან. ადამიანები არც მაშინ ტყუვდებოდნენ და ანეკდოტებითა თუ გარითმული იგავებით დასცინოდნენ მსგავს ვითარებებს: უბედურო ალიენდე, კომუნისტებს როგორ ენდე - ენდე? - ენდე! ნიშნის მოგებით აღნიშნა ხალხმა ჩილეს პრეზიდენტის დაღუპვა. როცა კომუნისტური პროპაგანდის მიერ გაფეტიშებული ანჯელა დევისი პერესტროიკის ტალღამ ჩაძირა, ხალხმა მიაძახა: ანჯელა დევის, "გდე ვი-ს, გდე ვი-ს". წიგნში გაშიშვლებულია საბჭოთა მმართველობის ფსევდოწესრიგის პრეტენზია. "ჯობდა, ყველანაირ მთავრობას მეოთხე სამმართველო რქმეოდა, იმიტომ რომ, მთავრობა თითქოს იმის გამო არსებობდა, რომ არსებობდა მეოთხე სამმართველო (მეოთხე სამმართველო კომუნისტური ნომენკლატურის ჯანმრთელობაზე ზრუნავდა - ჯ.ი.), ხოლო მეცხრე სამმართველო (მთავრობის დაცვის ოპერატიული სამსახური - ჯ.ი.) კი იმიტომ არსებობდა, რომ არსებობდა მთავრობა. აქედან გამოდის, რომ მეცხრე სამმართველო მეოთხე სამმართველოს გამოისობით შეიქმნა. არ ვიცოდი, არსებობდა თუ არა მეათე სამმართველო, მაგრამ მერვე და პირველი, მესამე და მეშვიდე, მეორე, მეხუთე და მეექვსე რომ ნაღდად იქნებოდა, ვერავინ უარყოფს, ეტყობა, ეს არ იყო მნიშვნელოვანი სამმართველოები, თორემ მათი რაობაც გასაგები იქნებოდა", - სილოგიზმის მეთოდით ასკვნის ავტორი.

ქვეყანაში, სადაც სათამაშო ნიანგებს ნარინჯისფრად ღებავდნენ და მწვანე კი არ იშოვებოდა, რა ჭკუა მოეკითხებოდა ვინმეს. ანდა, პირველობის მანიით შეპყრობილი საზოგადოება, რომელიც აღიზარდა ისეთი პრიმიტიული შეგნებით, რომ ქვანახშირის მოპოვებაში საბჭოთა კავშირს მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია გერმანიის, ამერიკის, ინგლისისა და კანადის შემდეგ... ეს ხომ ეკონომიკური გეოგრაფიის სახელმძღვანელო წიგნში ეწერა. რაზე მიგვანიშნებდა ის ანეკდოტი, რომ კენედი და ხრუშჩოვი, როცა სირბილში გაეჯიბრნენ, ხრუშჩოვი მოვიდა მეორე, კენედი კი - უკანასკნელის წინ. ამ აბსურდულობას გვახსენებს ავტორი, გვახსენებს ფრუნზიკას დარცხვენილ სახეს, რომ ერევანის წყალს, თუ მაინცდამაინც, სანფრანცისკოსი სჯობია. რომანში მოთხრობილია საბჭოთა განათლების რუტინული სისტემა. ნინა ალექსეევნა და ილია მურომეცის გახუნებული რეპროდუქცია, რომლის დანიშნულებაც პატრიოტული აღზრდა იყო: "სულ იმას ვფიქრობდი, ნინა ალექსეევნამ არ გამიძახოს-მეთქი." სატირული აქცენტებით გაჟღერებული, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფრაზები წარმოგვიდგენენ საბჭოთა პენიტენტური პოლიტიკის ოაზისებს: ქსანი, ტუბზონა და, რაც მთავარია, პაემნის ოთახები, თითქმის ე.წ. "მეგობელირებული" ოთახები. ავტორი გვაფიზლებს ასოციური აზროვნების მოულოდნელი კავშირებით: ბორის სავინკოვი, თავის დროზე ბოლშევიკების მიერ კრიმინალურად წოდებული მისი წიგნი "კონ ვორონოი". გაკილულია კინო-ტელევიზიით განათლებას ზიარებული თაობა, რომელმაც ბალზაკი და შილერი მხოლოდ ყურმოკვრით იცის: ჟან მარე, ჟან ვალჟან, ფრანც მორი. რომანის ავტორი ობივატელს სარკაზმით მიიხსენებს: "შვარცენეგერის გმირობისა სჯეროდა და ამას არ დაიჯერებდა?" თუ მარსელ პრუსტის შემოქმედებაში, მაგალითად, ასოციაციას რიგ შემთხვევაში სურნელი ამოძრავებს, აკა მორჩილაძის ციფრული კავშირები წლოვანებიდან საუკუნეებში ხტის: სემი 27 და 72 წლისა ბაგრატ IV 1027-1072 წწ.

რომანი უხვად შეიცავს ალუზორულ მომენტებსაც. გადაკრულად მოიხსენიება ზვიად გამსახურდიას აბიურაციის ფაქტი: "დამიჭირეს, ახლა ჩამაყუდებენ და საბოდიშო წერილების დაწერას მომთხოვენ, შემიშხაპუნებენ წამლებს და ხვალ საღამოს ბიბისიზე გამომიყვანენ... ყველაზე ცუდი ის არის, რომ დარბიხარ, გაფიცვისკენ მოუწოდებ ხალხს და მერე გაირკვევა, რომ ყველაფერზე თანახმა ხარ". რომანში გამასხრებულია არა მარტო მოარული გადმოცემა სტალინის წერილის შესახებ (მეგობარი - მეგობარს), არამედ ქართული ეროვნული იდეალიზმი და სანტიმენტალური ნინო ჭავჭავაძის ეპიტაფია. ავტორი შიგადაშიგ "დაუკრეფავშიც" გადადის - იოანე ზოსიმე და ა.შ., მაგრამ მოქნეული და მოზომილი ვის გაუგია. ალუზიაა, აგრეთვე, ყბადაღებული "მოგელანდებით, მოგელანდებით", თითქოს არაფერი, ჩვეულებრივი ფრაზაა. და უცებ თენგიზი და თენგიზი მიგვითითებს ამ განწირული შეძახილის ავტორზე - გურამ პეტრიაშვილზე. წიგნში არც "გადაგდებული" მეანაბრეებია დავიწყებული, არც თანამედროვე ახალგაზრდობის დამოკიდებულება აფხაზეთის ომთან: "რატომ არ მიდიხარ ომში? ფილოსოფია არ გჭირდება, პირდაპირ და გარკვევით "მეშინია". აბა, რომელი ჩვენებური გიპასუხებთ ასე? ვერც ერთი - მე თუ მკითხავთ, ძალიან კარგი და ალალი პასუხია, თანაც, იმის თქმაც არ მოგიხდება, რომ ომი არასწორად მიმდინარეობს და ვერ წახვალ... არ გინდა ომი, არ შეგიძლია ამ დედამოტყნული ტყვიის სროლა". ერთი მოკლე პერიფრაზი ჩვენი დაბეჩავებული ვეტერანების მთელ გალერეას გვთავაზობს: "ეჰ, სადღა ნახავ ელამ ბაბუას, გულისფიცარზე მიკიდულ მედლით. ჩვენი პოლიტიკის თვალთმაქცობა მომაკვდინებელი ხატით არის წარმოჩენილი: "კვამლში გახვეული ქალაქი, ქალაქი თუ სოფელი, აბა რა ვიცი? იქნებ მთელი ქვეყანაც, ან რაღაც უფრო დიდი, რა ჰქვია რაღაც უფრო დიდს, მგონი ციხე. როგორ შენდება ტრიბუნა ციხეში? მუზეუმს ზურგი უნდა გამოუნგრიო, ახლომახლო სახლები ააფეთქო დინამიტით და მერე ამავე ნანგრევებით აღმართო მშვენიერი თაღოვანი კვარცხლბეკი". რომანში გაბითურებულია მოდური მეცნიერება, რის შესასწავლადაც წასულა ლონდონში მთავარი გმირი. "ბოზური ზამაშკების" მონინააღმდეგე აფხაზი იასონი სანაყინეს გახსნას ცდილობს ოქსფორდსტრიტზე, ბლიად! სადაც ქართველები, რუსები, აფხაზები ერთად ჩაიტკბარუნებენ პირს და რაღად გინდა კონფლიქტოლოგია?

მიუხედავად იმისა, რომ თხრობა სრულიად არადამაჯერებლად გადადგადმოდის ირაციონალურ სივრცესა და ყოფიერებაში, დიალოგი, მე ვიტყოდი, ფსიქოლოგიურად გამართული და საინტერესოა. რასაკვირველია, ე.წ. ერთიანი ნაკადის მიმდევარი ყველა მწერალი, თვით მისი მამამთავარი ჯეიმს ჯოისი და, აქედან გამომდინარე, მკითხველიც, ვერ ახერხებს უკომენტაროდ ზოგიერთი სახიერების გააზრებას, მაგალითად, თუ ლევ ტოლსტოის შემოქმედება ლენინმა დაახასიათა, როგორც "ზერკალო რუსკოი რევოლუციი" და ეს მეტ-ნაკლებად საბჭოთა ლიტერატურაში გათვითცნობიერებულ ადამიანს ახსოვს, სხვა შემთხვევაში "აშორდიას სტუდენტები" (უკეთ, აშორდიას აზნაურები - ჯ.ი.) ბევრისთვის გაუგებარი დარჩება. რომანი გადატვირთულია ჟარგონით, თუმცა, უცენზურო სიტყვები უხამსობაში არ გადადის.

"ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან" მათ გასაგონად მინდა ვთქვა. თქვენმა მონა-მორჩილმა რამდენიმე ათეული თვე გაატარა ციე და მშიერ კარცერში მხოლოდ იმიტომ, რომ ზედამხედველობის რაპორტი შედგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით: "ვირაჟალსა ნეცენზურნიმი სლოვამი". ჰაი, გიდი, სად არიან კომუნისტები "ი პაკაჟეტ კოკინაკი გდე ი კაკ ზიმუიუტ რაკი"... მახლას... "ნაკაშიძე სვეშამი"! ... იმღერებ, რატომ არ იმღერებ. მეტი რა დაგრჩენია?

გაზეთი 24 საათი

9 სექტემბრიდან

გაძლევთ საშუალებას გამოაქვეყნოთ უფასო განცხადებები ბინების, აგარაკების, მანქანების, ავეჯის ყიდვა-გაყიდვისა და მომსახურების შესახებ.

მოგვაწოდეთ ინფორმაცია ტელეფონით:
98 86 43 53 76 43 (9.00-22.00)

# აღთქმული მიწა "აბესალომ და ეთერისათვის"

## თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში 151-ე სეზონი გაიხსნა

მადი სერებრიაკოვა

**გუშინ, 7 სექტემბერს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მორიგი თეატრალური სეზონი, ტრადიციისამებრ, ზაქარია ფალიაშვილის "აბესალომ და ეთერით" გაიხსნა. ჯანსუღ კახიძის გარდაცვალების შემდეგ მთავარი დირიჟორისა და მუსიკალური ხელმძღვანელის გარეშე დარჩენილი თეატრი მატერიალური და შემოქმედებითი პრობლემების წინაშე მარტო დარჩა. მიუხედავად ამისა, დასაწყისი მაინც ომახიანად გაჟღერდა - მიმდინარე სეზონი კი მაესტროს მიერ დაწყებული სპექტაკლების პრემირებას და ტრადიციულ თუ აღდგენილ რეპერტუარს გვპირდება.**

"მაესტრო კახიძე ის ადამიანი იყო, ვინც ნაცრისფერს ვერცხლისფრად წარმოაჩენდა", - აღნიშნავს ჩვენთან საუბარში ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხარტვრო საბჭოს ხელმძღვანელი გურამ მელივა. ჯანსუღ კახიძის გარდაცვალებამ ისედაც მრავალი პრობლემის წინაშე მდგარ თეატრს ახალი თავსატეხები გაუჩინა. დღემდე ღიად რჩება თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობის საკითხი: ერთი სამხატვრო ხელმძღვანელისა და მთავარი დირიჟორის ნაცვლად თეატრს ახლა სამხატვრო საბჭო და დირიჟორთა კოლეგია მართავს, გურამ მელივას ხელმძღვანელობით.

უკვე ბანალურად ჟღერს, მაგრამ ფაქტია - თეატრის მთავარ პრობლემას დღეს დაფინანსების საკითხი წარმოადგენს. ოფიციალური წლიური 1 100 000 ლარიდან 54 პროცენტით დაქვითვასა და სხვადასხვა გადასახადებს ხმარდება (შედარებისთვის: მეტროპოლიტენ ოპერას წლიური დაფინსება 57 მილიონს დოლარს შეადგენს). დარჩენილით კი - მიზერული ხელფასების გასტუმრებაც ძნელად ხერხდება. საგულისხმოა სტატისტიკური მონაცემებიც: თუ ადრე, "კომუნისტების დროს", თვეში 29 სპექტაკლი იმართებოდა, დღეს წარმოდგენების რაოდენობა 8-მდეა დასული. განახევრებულია სარეპეტიციო მუშაობაც, რაც, რა თქმა უნდა, სპექტაკლების ხარიხოსხობრივ მაჩვენებელზე აისახება. მიუხედავად ამისა, მათხოვრის სტატუსს თეატრი, ფორმალურად მაინც, უარყოფს. თეატრში აცხადებენ, რომ მატერიალური კრიზისი შემოქმედებით კრიზისს არ უდრის და ძველ რეპერტუართან ერთად, პრემიერებისთვისაც ემზადებიან.

*სცენები სპექტაკლიდან*

ბესო გულაგვილის ფოტო

თუმცა, "პრემიერა" ცოტა თამამი ნათქვამია. დამდგმელი ჯგუფი მთელი ზაფხულის განმავლობაში, პირდაპირი მნიშვნელობით, ძონძებსა და ძველი დეკორაციების ნარჩენებში იქექებოდა, რათა მომავალი "მაკბეტისათვის" კოსტიუმები და დეკორაცია შეეკოწიწებინათ. საგულისხმოა, რომ თეატრმა "მაკბეტისათვის" მხატვრის მიწვევაც ვერ შეძლო - "რა უნდა გააკეთოს მხატვარმა, თუ მას ელემენტარული მასალითაც ვერ მოვამარაგებთ", - აღნიშნავს სამხატვრო ხელმძღვანელი. თუმცა, ასეთი ანტი-რეკლამა ჯერ მაინც არაფერს ნიშნავს. მუსიკა ცარიელ სცენაზეც შეიძლება შეასრულო (იქნებ ხმოვანება ასე უკეთესიც იყოს). სპექტაკლის ფრაგმენტები უკვე ოქტომბერში შესრულდება, სიმფონიური მუსიკის ცენტრში, სადაც თეატრის ახალგაზრდა სოლისტ ირმა ბერძენიშვილს პარტნიორობას გაუწევს დასავლეთში მოღვაწე გამოჩენილი ქართველი ბარიტონი ლადო ათანელი. საოპერო წარმოდგენაში კი თეატრის ძირითადი დასია დაკავებული (მთავარ პარტიებში - ელდარ გეწაძე, ბესო გაბიტაშვილი, გია გაგნიძე, მიხეილ კოლელიშვილი, გია მახარაძე, მზია დავითაშვილი და სხვ.) საოპერო სპექტაკლს ზაზა აზმაიფარაშვილი უდირიჟორებს (სიმფონიურ ცენტრში დაგეგმილი საკონცერტო შესრულებას ვატო კახიძე ხელმძღვანელობს).

რამდენად გაამართლებს ახალი "მაკბეტი", ამას დეკემბერში დაგეგმილი პრემიერა გვიჩვენებს, მანამდე კი კვლავ სეზონის გახსნას დავუბრუნდეთ.

ფალიაშვილის "აბესალომ და ეთერით" სეზონის გახსნა თბილისის ოპერაში დიდი ხნის შეულახავი ტრადიციაა და ამას ობიექტური საფუძველიც აქვს. ქართული საოპერო ხელოვნების ეს მწვერვალი ერთი იმ შედევრთაგანია, რომელიც პროვინციული ღირებულებების საზღვრებს სცდება და აქტუალობას მხოლოდ რეგიონული მასშტაბით არ ინარჩუნებს. ფაქტობრივად,"აბესალომი" ერთადერთი სპექტაკლია, რომელიც საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებებშიც ერთვება ხოლმე. ამჯერადაც, გარდა სეზონის გახსნის ტრადიციისა, სპექტაკლი სხვა მოლოდინებსაც უკავშირდებოდა. კერძოდ, სპეციალურად "აბესალომ და ეთერის" მოსასმენად ისრაელიდან ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის ექსპერტები ჩამოვიდნენ - მათი აზრი გადაწყვეტს "აღთქმულ მიწაზე" ჩვენი ოპერის გასტროლების ბედს.

გუშინდელი სპექტაკლის ღირსშესანიშნაობა კიდევ ერთ მოვლენას – გამოჩენილი დირიჟორის, ოდისეი დიმიტრიადის საიუბილეო თარიღს დაუკავშირდა. თავად მაესტრო საქართველოში იმყოფება და სპექტაკლსაც დაესწრო.

მიუხედავად იმისა, რომ საოპერო თეატრს ახალგაზრდა სოლისტთა საკმაოდ სოლიდური კონტიგენტი ჰყავს, რაოდენობრივადაც ხარისხის თვალსაზრისითაც, გუშინდელი სპექტაკლში მაინც დასის ვეტერანთა ნაწილი მონაწილეობდა. შედარებით ახალგაზრდებიდან გამოჩნდნენ თამაზ საგინაძე (თანდარუხი) და ირმა ბერძენიშვილი (ნაანა),რომლებმაც მნიშვნელოვნად გაახალისეს კიდეც ვეტერანთა დასი.

სოლისტებს შორის შეიძლება გამოვყოთ მთავარი პარტიის შემსრულებელი თემურ გუგუშვილი, რომელიც მიუხედავად მსოფლიოს მნიშვნელოვან სცენებზე მიღწეული წარმატებისა, არ ტოვებს თბილისის თეატრს და ქართულ რეპერტუარს. განსაკუთრებით კარგად ჟღერდა მესამე აქტის არია და ეთერის გაშვების სცენა არტისტის ზომიერად ემოციური შესრულების წყალობით.

ეს სპექტაკლი ელდარ გეწაძესთვის (მურმანი) განსაკუთრებით ტრადიციული იყო. გეწაძე არა მხოლოდ "აბესალომ და ეთერის" მიხეილ თუმანიშვილისეული დადგმის პრემიერებს მღეროდა, არამედ მის წინამორბედ დადგმაშიც იღებდა მონაწილეობას. გუშინდელი სპექტაკლი მისთვის ფალიაშვილის მე-200 წარმოდგენა იყო. ასეთი სტაჟის გამო მისი მღელვარება და პასუხისმგებლობა სცენაზეც და კულისებშიც თვალსაჩინო იყო.

გულისამაჩუყებელი იყო მთავარი პარტიის შემსრულებლის მარიცა მაღლაფერიძის პირველი სცენა, როცა გამოცდილ ეთერს, სცენაზე გამოსვლისას, ფეხსაცმელი გასძვრა და მან მთელი აქტი ფეხშიშველმა იმღერა.

კარგი იქნებოდა, ასეთივე პასუხისმგებლობა გამოეჩინა გუნდსაც. ორკესტრი და გუნდი დასაწყისში არცთუ შეხმატკბილებულად გალობდა და მათი ხმოვანება მხოლოდ სპექტაკლის ბოლოს შეირწყა. მიუხედავად იმისა, რომ დასს ბოლოსკენ დაღლილობა შეეტყო, ფინალი მაინც შთამბეჭდავი იყო. მაღლაფერიძის არტისტიზმმა გარკვეული ვოკალური ხარვეზები გადაწონა. დარბაზში მხარდაჭერის ატმოსფერო სუფევდა და იყო გულუხვი ოვაციები. სხვათა შორის, სპექტაკლი თითქმის ანშლაგით წარიმართა, რაც ბოლო წლებში არცთუ ხშირი მოვლენაა, ასეთი მიღება კი, ძირითადად, გასტროლიორებს თუ ხვდებათ ხოლმე წილად.

ასეა თუ ისე, არსებულ პირობებში სეზონის დასაწყისი მაინც წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს. ბოლო დროის სპექტაკლებს შორის გუშინდელი "აბესალომ და ეთერი" მაინც ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მობილიზებული დასი კი გადამწყვეტ სიტყვას, ალბათ, სეზონის უმნიშვნელოვანესი მოვლენის – "მაკბეტის" პრემიერაზე იტყვის.

### ამბები

#### ფილარმონიის ბედი მალე გადაწყდება

როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, უახლოეს მომავალში დიდ საკონცერტო დარბაზს უშუალოდ კულტურის სამინისტროს დაუქვემდებარებენ. აქედან გამომდინარე, ფილარმონიაში ამიერიდან მხოლოდ საქართველოს კულტურის პოლიტიკისთვის შესაფერისი კონცერტები თუ საღამოები გაიმართება. დაწვრილებით ამ თემაზე სამშაბათს კულტურის სამინისტროში დაგეგმილ პრეს-კონფერენციაზე ისაუბრებენ. ჩვენ კი აუცილებლად მოგაწვდით მასალას უახლოეს ნომერში.

*"24 საათი"*

#### კონსერვატორია სეზონს მარია კალასის ვიდეო-კონცერტით გახსნის

ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი შემოქმედებით სეზონს 16 სექტემბერს ვიდეო-კონცერტით გახსნის.

ვიდეო-კონცერტი მარია კალასის გარდაცვალებიდან 25 წლისთავს ეძღვნება. კონცერტზე წარმოდგენილი იქნება ცნობილი საოპერო არიები მომღერლის შესრულებით.

ვიდეო-კონცერტების ტრადიცია კონსერვატორიაში ორი წელია დამკვიდრდა და ამ დროის განმავლობაში დიდმა დარბაზმა უკვე უმასპინძლა ბეთჰოვენისა და ვერდის შემოქმედებით საღამოებს და ასევე წარმოადგინა ვიდეო-კონცერტი, სახელწოდებით, "მეოცე საუკუნის კორიფეები".

*კავკას-პრესი.*

# თეატრალურ სატრანზიტო ზოლზე

## 11 სექტემბერს თბილისში ამერიკელი დიპლომატების თეატრალური დებიუტი შედგება

ვერა ნეფარიძე

**11 სექტემბერი მნიშვნელოვანი თარიღად იქცა და არა მხოლოდ ამერიკელებისთვის. სამშაბათს მსოფლიო ანტიტერორისტულ ვნებათაღელვას, რამდენიმე აქცია-ღონისძიებით, თბილისიც შეუერთდება. ამ დღეს თბილისის კინომსახიობთა თეატრი პრემიერით აღნიშნავს.**

რეჟისორ გიორგი სიხარულიძის "ტრანზიტი" მხოლოდ ამერიკელი დიპლომატების თეატრალური დებიუტი არაა. სპექტაკლისთვის საკუთარი თეატრალური შესაძლებლობების მოსინჯვა, მათ გარდა, ბათუმელ მუსიკოსებსაც მოუხდათ. ჯგუფი "ჩვენ"-ის (გარდა ვოკალისტისა, რომელიც კინომსახიობთა თეატრის დასში მუშაობს) წევრები წარმოდგენას მუსიკალურად (ცოცხლად) გააფორმებენ და სპექტაკლის მთავარ გმირებსაც ითამაშებენ. პიესის ავტორის, ეფემია ლორიასთვის კი ეს იქნება პირველი რეალიზებული ნამუშევარი, რომელიც მან საკუთარი მოთხრობის, "სატრანზიტო ზოლის" მიხედვით შექმნა. მოთხრობა, დაახლოებით, წელიწადნახევრის წინ დაიწერა და მუსიკალურ ჯგუფთან ერთად მისი "გაპიესება" თეატრალური წარმოდგენაზე მუშაობის სურვილმა გამოიწვია.

"ტრანზიტისთვის" ანტიტერორისტული ხასიათის მისადაგებაზე მას შემდეგ დაფიქრდნენ, სპექტაკლში მონაწილეობა ამერიკის კონსულს, რობინ ბუსესა და საელჩოს თანამშრომელს, ვანესა აკერს შესთავაზეს (პიესის ავტორი ამერიკის საელჩოში მუშაობს). როგორც აღმოჩნდა, ორივე მათგანის ბავშვობის ოცნება ყოფილა მსახიობობა. კონსული საქართველოში ჩამოსვლამდე, პანამაში მუშაობისას, ადგილობრივ, ინგლისურენოვან თეატრის მოყვარულთა დასში საკმაო წარმატებით თამაშობდა და თბილისელი თეატრალების შეთავაზებაზე სიამოვნებით დათანხმებულა. "თანაც, მივხვდით, რომ პიესა, შინაარსობრივად, იოლად მოიხდენდა ანტიტერორისტულ ხასიათს. იმის მიუხედავად, რომ იმ ქვეყნის ადგილმდებარეობა, სადაც პიესის მოქმედება ხდება, არსად არაა მინიშნებული, სპექტაკლის მუშაობის პროცესში ვინც კი ნახა, ყველამ, რატომღაც, ამერიკად აღიქვა", – ამბობს ეფემია ლორია, რომელსაც ზესახელმწიფოს გაშიფრვა მაყურებლის "თავსატეხად" ჰქონდა ჩაფიქრებული.



*რეჟისორი გიორგი სიხარულიძე*

*ჯგუფი "ჩვენ"*

ლევან ხარხელიძის ფოტოები

სპექტაკლში მთავარი მოქმედი გმირები მეოცე საუკუნის უკანასკნელი თაობის წარმომადგენლები არიან. ძირითადი თემა, თამამად შეიძლება ითქვას, ემიგრაციაა. "ტრანზიტის" სიუჟეტიცა და შინაარსიც, შესაძლოა, ძალიან ბევრს გაცვეთილად ეჩვენოს. მართლაც, რეჟისორი გიორგი სიხარულიძე სევდით საუბრობს დაკარგულ თაობაზე, რომელიც დაუსრულებლად მიემგზავრება "ოცნებების ასახდენად" უცხო ქვეყანაში. საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციისთვის სამშობლოდან გახიზნული ახალგაზრდები (სხვადასხვა ქვეყნებიდან) ჩადიან ერთ-ერთ ასეთ საოცნებო ქვეყანაში და იკრიბებიან ადგილობრივ კლუბში. "ისინი არ არიან ერთი კულტურის შვილები და არ საუბრობენ ერთ ენაზე, მაგრამ აქვთ ის ზოგადადამიანური მარცვალი, რომლითაც ერთმანეთს უგებენ", - პიესის ავტორის აზრით, ეს "ზოგადადამიანური" მარცვალი შემოქმედებითი მიდგომაა სამყაროს მიმართ. ბანალურადაა შერჩეული მთავარ მოქმედ პირთა პროფესიაც – ისინი მხატვრები, მუსიკოსები და ზოგადად, ხელოვნების მოყვარულები არიან.

რეჟისორის შესარჩევად პიესის ავტორს დიდი დრო არ დახარჯვია: "ჩემთვის თუმანიშვილის თეატრი გარდამავალი რგოლია აკადემიურ, მარჯანიშვილისა თუ რუსთაველის თეატრებსა და თანამედროვე, შოუთეატრებს შორის; ყველაფერს იხდენს ეს თეატრი: კლასიკურ ფორმასაც და ნოვატორულსაც; გიორგის კი იმ რეჟისორთა რიცხვს მივაკუთვნებ, რომელსაც შეუძლია, ახალიც თქვას და ამავდროულად, კლასიკურ ფუძეს არ მოსწყდეს. მისი "ანა კარენინას" შემდეგ მივხვდი, გიორგი ის რეჟისორია, ვისთანაც დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი".

თავის მხრივ, რეჟისორ გიორგი სიხარულიძეს პიესაზე მუშაობა თემის აქტუალობამ გადააწყვეტინა: "პიესაში მოთხრობილია ჩემთვის ძალიან ნაცნობი ისტორია საქართველოდან უცხოეთში წასული ჩემი თაობის ადამიანებზე, რომლებმაც უცხო ქვეყანაში გადაწყვიტეს ბედნიერების ძიება. მაგრამ ეს ყველაფერი, საბოლოოდ, დასრულდება სამწუხარო რეალობით – ეს ახალგაზრდები დარწმუნდებიან, რომ ტყუილად კარგავენ დროს, რადგან იმ ქვეყანას საკუთარი პრობლემებიც თავზესაყრელად აქვს. აქედან გამომდინარე, ფაქტობრივად, მთელი ეს თაობა მკვდარია, დაკარგული". არ ვიცი, რამდენად გაიზიარებენ კინომსახიობთა თეატრში 11-12 სექტემბერს მისული მაყურებლები რეჟისორის ასეთ პათოსს. თავად გიორგი სიხარულიძე კი დარწმუნებულია, მაყურებლის გარკვეულ ნაწილს (რომელიც, კონკრეტულად, ასაკობრივი ცენზის მიხედვით არ ჰყავს წარმოდგენილი)სპექტაკლი აუცილებლად დააინტერესებს.

"ტრანზიტის" ცოცხალი მუსიკით გაფორმება სპექტაკლის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დეტალია. "შედარებით იოლია ხოლმე ჩაწერილი მუსიკით სპექტაკლის გაფორმება, რადგანაც სცენაზე ცოცხალი მუსიკის შესრულება დაკავშირებულია სხვადასხვა პრობლემებთან. თანაც, ჩვენთვის საინტერესო და სასიამოვნო აღმოჩნდა თეატრში მუშაობა", – კმაყოფილება არ დაუმალავს მუსიკოს ლაშა აბაშმაძეს. ბათუმური ჯგუფის წევრებმა ორიგინალური მუსიკა "ტრანზიტისთვის" ორ საათში დაწერეს და როგორც ამბობენ, ის საგრძნობლად განსხვავდება მათი რეპერტუარისგან.

მუსიკოსებისა და ამერიკელი დიპლომატების გარდა, სპექტაკლი პირველი თეატრალური ნამუშევარია დეკორაციის ავტორის, მირიან ცაგარეიშვილისა და კოსტიუმების ავტორის, ზურა გოგორიკიძისთვისაც. თუ როგორი გამოვიდა პროფესიონალთა და მოყვარულთა თანამშრომლობა კინომსახიობთა თეატრში, მაყურებელი ოთხშაბათიდან თავად იხილავს.

ფეხბურთი

# ახალგაზრდებმა წააგეს

## შვეიცარია – საქართველო 2:0

გუშინ ევროპაში დიდი საფეხბურთო დღე იყო. დაიწყო ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი. ფეხბურთის მოყვარულთათვის ცნობილია, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები თავის პირველ შეხვედრას ბაზელში დღეს გამართავს. გუშინ კი შვეიცარიელ თანატოლებთან კოპალეიშვილის გუნდმა ითამაშა. სამწუხაროდ, ქართველი ფეხბურთელებისთვის ეს მატჩი არასასურველად წარიმართა და მარცხით დამთავრდა. 2:0 – შვეიცარიის ნაკრების სასარგებლოდ. ასეთია ამ შეხვედრის საბოლოო შედეგი.

მორიგი ტურის მატჩს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები 11 ოქტომბერს გამართავს და რუს თანატოლებს გაეჯიბრება, რომლებმაც გუშინვე ირლანდიის ნაკრები ასეთივე ანგარიშით 2:0 დაამარცხეს.

რაც შეეხება ეროვნულ გუნდებს, ევროპის სტადიონებზე მოულოდნელობებით აღსავსე დიდი ბატალიები გაიმართა. გთავაზობთ გუშინდელი მატჩების შედეგებს:

| | |
|---|---|
| ფარერები – შოტლანდია | 2:2 |
| ნორვეგია – დანია | 2:2 |
| ავსტრია – მოლდოვა | 2:0 |
| სომხეთი – უკრაინა | 2:2 |
| რუსეთი – ირლანდია | 4:2 |
| კვიპროსი – საფრანგეთი | 1:2 |
| ლატვია – შვედეთი | 0:0 |
| ლიტვა – გერმანია | 0:2 |
| თურქეთი – სლოვაკეთი | 3:0 |
| ხორვატია – ესტონეთი | 0:0 |
| ფინეთი – უელსი | 0:2 |
| სან-მარინო – პოლონეთი | 0:2 |
| ბელგია – ბულგარეთი | 0:2 |
| აზერბაიჯანი – იტალია | 0:2 |

*დანარჩენი თამაშები გვიან ღამით დამთავრდა.*

**ამხანაგური თამაშები**

| | |
|---|---|
| ინგლისი – პორტუგალია | 1:1 |
| ისლანდია – უნგრეთი | 0:2 |

**ეროვნული ჩემპიონატები**

*ინგლისი. პირველი დივიზიონი*

| | |
|---|---|
| როტერჰემი – რედინგი | 0:0 |
| უოტფორდი – უოლსოლი | 2:0 |
| დერბი – ბარნლი | 1:2 |
| ჯილინგემი – პორტსმუთი | 1:3 |
| მილუოლი – ბრაიტონი | 1:0 |
| ნორვიჩი – შეფილდ იუნ. | 2:3 |
| უიმბლდონი – ლესტერი | 2:3 |

## იარნი ჰენსიაზე გადის

34 წლის ხორვატმა ნახევარმცველმა რობერტ იარნიმ გადაწყვიტა, ფეხბურთს თავი დაანებოს. იარნი აცხადებს, რომ მას ორი ფრანგული კლუბისგან – "რენისა" და "ბასტიასგან" ჰქონდა წინადადება, მაგრამ მიაჩნია, რომ ასაკში შევიდა და ცხოვრება უკვე სხვანაირად უნდა მოაწყოს.

იარნის, შუკერის მსგავსად, გული სწყდება, რომ ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციამ არ ისურვა, მისთვის გამოსათხოვარი მატჩი გაემართა და ფიქრობს, რომ ხორვატიაში ჯერ კიდევ არ იციან ამაგდარი ფეხბურთელების ღირსეულად დაფასება.

ქიდაობა

# კურტანიძემ ირანულ ხალიჩაზე ოქრო გააგორა

## ელდარ კურტანიძე მსოფლიო ჩემპიონია



*კურტანიძე (მარცხნივ) სიდნეის ოლიმპიურ ხალიჩაზე*

გიგა გურასაშვილი

ირანი მნიშვნელოვანი ასპარეზობების ნაირფეროვნებით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ საჭიდაო სახეობათა ჩემპიონატების მასპინძლობით მართლაც გამორჩეული ქვეყანაა.

წარმოიდგინეთ 20-ათასადგილიანი დარბაზი, ფინალში კი ირანელი ჭიდაობს. ძნელია, გაუძლო ფსიქოლოგიურ ზეწოლას მაშინ, როდესაც ყველა შენს წინააღმდეგაა, მაგრამ ელდარ კურტანიძემ იმ ყველას დაანახა, რომ იმ დღეს მისი დამმარცხებელი არავინ იყო. კურტანიძე მსოფლიოს ჩემპიონია.

თეირანი სამი დღის განმავლობაში მასპინძლობდა ვაჟთა შორის 36-ე მსოფლიო ჩემპიონატს. უმთავრეს სარბიელზე ქართველი ფალავნებიც ასპარეზობდნენ. მანამ, სანამ საქართველოს დელეგაცია ირანში გაემგზავრებოდა, ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა გვითხრა, რომ ორი მედლის მოპოვებას გეგმავდნენ, მაგრამ რა სინჯის მედლებს გულისხმობდა, არ დაუკონკრეტებია. ჩემპიონატი ისე იწურებოდა, რომ ქართველთაგან ვერც ერთი პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა. გუშინ, ასპარეზობის ბოლო დღეს, კურტანიძემ ფინალში გააღწია. ელდარმა ორივე ორთაბრძოლა დიდი ანგარიშით მოიგო. პირველ შეხვედრაში თურქი ფალავანი ქარიროღლუ ჩამოიშორა გზიდან (4:0), შემდეგ კი პოლონელ ბარტნიკსაც იგივე ბედი ეწია (7:0). მესამე წრეში კურტანიძე ძველ მეტოქეს, რუსეთის სახელით მოასპარეზე გიორგი გოგშელიძეს, შეხვდა. ქართული საჭიდაო სკოლის აღზრდილს კურტანიძე აქამდეც არაერთხელ შეხვედრია და მოუგია კიდეც. თუმცა, ბოლო დაპირისპირებაში - ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის ფინალში - ამ უკანასკნელმა გაიმარჯვა. ამჯერად კურტანიძემ უშეცდომოდ იჭიდავა. გოგშელიძეს ერთადერთი ქულა დაუთმო, თავად კი სამი მოიპოვა. ქართველი ფალავანი იოლად გაუსწორდა ბერძენ ქსანტოპულოსსაც (6:0). ფინალში, მასპინძელ ჰეიდარის სახით, კურტანიძეს ძლიერი მეტოქე ჰყავდა. პაექრობის დასრულებამდე ათი წამით ადრე კურტანიძე 2:0 იგებდა. ჰეიდარმა ბოლოს იძალა და ქართველს ქულა გამოსტაცა. მსაჯებმა დამატებითი დრო - სამი წუთი დანიშნეს. ირანელი პროვოკაციას შეეცადა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მსაჯს ეს შეუმჩნეველი არ დარჩა და ჰეიდარი გააფრთხილა. ამასობაში დარბაზი ხმაურისგან ლამის ჩამოიქცა. მიუხედავად ამისა, კურტანიძე სიმშვიდეს ინარჩუნებდა და მეტოქეს გასაქანს არ აძლევდა. შეხვედრა ხეირიანად დასრულებულიც არ იყო, რომ ქართველები უკვე გამარჯვებას ზეიმობდნენ. ელდარი სიხარულისგან მუხლებზე დაეცა. ქართველმა მოჭიდავემ ორ ოლიმპიურ ბრინჯაოს, ოთხგზის ევროპის ჩემპიონობასა და ვერცხლის მედალს, მსოფლიო ჩემპიონატის მეორე და მესამე ადგილს ოქროც შემატა. ერთადერთი, რაც მის ყულაბაში არ ჩხრიალებს, ოლიმპიური ოქროა, რომლის მოპოვებასაც იგი ათენში შეეცდება და მერე, ალბათ, კარიერასაც დაასრულებს.

საპრიზო ადგილის დაკავების შანსი ჰქონდა მძიმენონოსან დავით ოთიაშვილსაც. პირველ შეხვედრაში ჩინელ იუჰისთან ქართველი ფალავანი მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა. ჩინელისა და ქართველის ორთაბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმცა, გამარჯვებული ქართველი გამოვიდა (4:2). მეორე წრეში ოთიაშვილი პოლონელ გარმულევიჩს შეხვდა. გამარჯვება აქ უფრო გაჭირდა და ეს ანგარიშიდანაც ჩანს – 8:6. ოთიაშვილმა მესამე შეხვედრაც მოიგო. ამჯერად მისი მეტოქე ყაზახი შიხსაფიევი გახლდათ. ისევ ქართველმა გაიმარჯვა (5:1). თუმცა, ეს იყო და ეს. შემდეგ წრეში ოთიაშვილმა კუბელი როდრიგესისგან იწვნია მარცხი (1:7), მაგრამ, ვინაიდან კუბელმა ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა, ქართველ ფალავანს მესამე ადგილისთვის ბრძოლის შანსი მიეცა. ბრინჯაოსთვის ორთაბრძოლაში ოთიაშვილი თურქ პოლაცის დაუპირისპირდა. თავიდანვე ნათელი გახდა, რომ თურქი მოიპოვებდა გამარჯვებას. მათი პაექრობა თურქი ფალავნის აშკარა უპირატესობით დასრულდა. ოთიაშვილმა მეტოქეს ვერც ერთი ქულა ვერ აართვა, თავად კი ათი გაატანა.

მძლეოსნობა

# შვიდი ნაბიჯი ოქროს ზოდამდე

გიგა გურასაშვილი

ვინაიდან ბერლინის ოლიმპიური სტადიონი ფეხბურთელთა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის იერსახეს იცვლის, ოქროს ლიგის დასკვნითი ეტაპის მასპინძლად "ფრიდრიხ ლუდვიგ იან შპორტპარკი" მოგვევლინა. თუმცა, ისტორიული შედეგების უკმარისობას არც ეს უკანასკნელი განიცდის. ოქროს ლიგის მასპინძელ სარბიელს 25 მსოფლიო რეკორდი ახსოვს. მათ შორის ყველაზე ღირსშესანიშნავია ბადროს მტყორცნელთა მიღწევა, რომელმაც, შეიძლება ითქვას, გადატრიალება მოახდინა სპორტის ამ სახეობაში. გერმანიის დედაქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში განთავსებულ არენაზე ადგილობრივთა კერპმა, უვე ჰონმა 1984 წელს პირველმა გადალახა 100-მეტრიანი ბარიერი, როდესაც ბადრო ჯერ არნახულ მანძილზე – 104.80 მეტრზე ისროლა. ჰონის მიერ შემოთავაზებულმა სიურპრიზმა მძლეოსნობის მამები ჩააფიქრა. გაჩნდა მაყურებლის დაშავების საშიშროება. ამიტომაც, ორი წლის შემდეგ, წესებში ცვლილებები შეიტანეს – ბადრო დაამძიმეს. ბუნებრივია, დამძიმებულმა ბადრომ მანძილი, საშუალოდ, 20 მეტრით დაამოკლა. ახლანდელ გათამაშებაში მასპინძელ ბორის ჰენრის ჩემპიონობისთვის 85.82 მეტრი დასჭირდა და ამით ოქროს ლიგის დასკვნითი, მეშვიდე ეტაპიც დასრულდა. მანამდე კი ჯეკპოტის სახით დაწესებული 50 კილოგრამი ოქრო თავის პატრონს (თუ პატრონებს) ელოდა.

მერიონ ჯონსს, ჰიშამ ელ გურუჯს, ანა გუევარას და ფელიქს სანჩესს თითო მოგებაღა აშორებდათ ჯეკპოტამდე. ოქროს მაძიებელთა შორის პირველმა ამერიკელმა ჯონსმა იასპარეზა. მიუხედავად იმისა, რომ სტარტი ცუდად აიღო, სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა 60 მეტრის შემდეგ დანაკლისი აინაზღაურა და მეტოქეები საკმაო მანძილით ჩამოიტოვა. რადგან ჯონსის დამწევი არავინ ჩანდა, ამერიკელის მეტოქეებს ისღა დარჩენოდათ, მეორე-მესამე ადგილებისთვის ებრძოლათ. ჯონსმა ფინიშის ხაზი 11,01 წამში გადაკვეთა. ამერიკელის გარბენიდან 20 წუთის შემდეგ სარბიელზე "ოქროს" პრეტენდენტთაგან მეორემ - მაროკოელმა ჰიშამ ელ გურუჯიმ აიღი სტარტი. უჩვეულო და მოულოდნელი არც აქ მომხდარა რამე. მაროკოელმა მსოფლიო რეკორდსმენმა, რომელიც 1500 მეტრზე ბოლო შვიდი წლის განმავლობაში სულ სამჯერ დამარცხდა, ჩვეულებისამებრ, მოიგო. ერთადერთი, ვინც მას, ასე თუ ისე, ეწინააღმდეგებოდა, კენიელი ბერნარ ლაგატი იყო. ბრიუსელში, ოქროს ლიგის წინა გათამაშებაშიც, მაროკოელს ლაგატი უწევდა მეტოქეობას, მაგრამ ფინიშამდე 100 მეტრით ადრე კენიელი გურუჯს დანებდა. ახლანდელ გარბენში კი კენიელსა და მაროკოელს შორის მანძილში სხვაობა 30 მეტრი იყო. გურუჯს, კარიერაში ზედიზედ მეოთხე ჯეკპოტის მოსაგებად, 3.30,00 წუთი დასჭირდა.

რამდენ ნაწილად გაიყოფოდა 50 კილო ოქრო, იმაზე იყო დამოკიდებული, თუ დარჩენილ პრეტენდენტთაგან რომელს დაუცდებოდა ფეხი. თუმცა, ფელიქს სანჩესიც და ანა გუევარაც იღბლიანები გამოდგნენ. 400 მეტრზე თარჯრბენში დომინიკელი მსოფლიო ჩემპიონის უპირატესობა 200 მეტრის შემდეგ გამოიკვეთა. ბოლო 100 მეტრზე კი საგრძნობლად დაწინაურდა და უდავო იყო, რომ ჯონსსა და გურუჯს ჯეკპოტის მოციქლე შეემატათ. 400 მეტრზე მექსიკელი გუევარას შემჩერებელიც არავინ ჩანდა. უახლოეს მდევრებს მან ფინიშამდე ათი მეტრით ადრე დააღწია თავი. ჩემპიონობისთვის ამჯერადაც 50 წამზე ნაკლებ დროში ირბინა – 49,91. არადა, სეზონის დაწყებამდე გუევარა განსაკუთრებული მიღწევებით ვერ დაიკვეხნიდა. მისი ყველაზე დიდი წარმატება მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გუევარა 2002 წლის აღმოჩენაა.

*ანა გუევარა* REUTERS

*ფელიქს სანჩესი* REUTERS

არანაკლებ სანახაობრივი აღმოჩნდა ოქროს ლიგის დახურვის საზეიმო ცერემონიალიც. იმისთვის, რომ გათამაშების შვიდივე სერიის გამარჯვებულებს - ჯონსს, გურუჯს, სანჩესს და გუევარას 50 კილო ოქრო გადაეცეთ, მათ 14 სექტემბერს, პარიზში გრანპრის ფინალურ შეჯიბრებაშიც უნდა მიიღონ მონაწილეობა.

რაგბი

# "ყოჩებმა" იყოჩაღეს

*ყოჩები - ლოკომოტივი* ლევან ხერხეულიძის ფოტო

გუშინ რაგბიში საქართველოს ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩები გაიმართა. ტური კი მეორე იყო, მაგრამ თბილისის "ლოკომოტივს" და უნივერსიტეტს პირველად მოუწიათ მოედანზე გასვლა. საქმე ის არის, რომ ამ ორ გუნდს სრულად არ ჰქონდა გადახდილი ჩემპიონატში მონაწილეობისთვის დაწესებული 1500 ლარი, რის გამოც პირველ ტურში თამაშის უფლება არ მიეცათ და ტექნიკური წაგება ჩაეთვალათ.

გუშინდელი მატჩები ორ ქალაქში - თბილისსა და ბათუმში ჩატარდა. თბილისში "ლოკომოტივი" და "ყოჩები" თამაშობდნენ, ბათუმში - "დათვები 1" და ქუთაისის "აია". "დათვები 2"-ს კი უნივერსიტეტისთვის უნდა ემასპინძლა.

დიახ, უნდა ემასპინძლა, რადგან იმის გამო, რომ სტუდენტები არ ჩავიდნენ, ბათუმელებს ამის საშუალება არ მიეცათ. სამაგიეროდ, ბათუმელთა პირველმა გუნდმა გამოიღო ხელი და ქუთაისელი სტუმრები შინ ხელცარიელი გაუშვა – 32:0. ყველაზე საინტერესო, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოდგა თბილისური შეხვედრა, რომელშიც "ყოჩებმა" ქვეყნის ჩემპიონი 25:23 დაამარცხა.

ჩოგბურთი

# ამერიკა ოჯახური ფინალისთვის ემზადება

*სერენა უილიამსი* REUTERS

ნინო პირველი

**ნიუ-იორკი. ამერიკის ღია ჩემპიონატი. ქალები. ჰარდი. საპრიზო ფონდი 4 774 000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი ვინუს უილიამსი (აშშ). ნახევარფინალი**

ვინუს უილიამსი (აშშ, 2) – ამელი მორესმო (საფრანგეთი, 10) 6:3, 5:7, 6:4

სერენა უილიამსი (აშშ, 1) – ლინდსეი დევენპორტი (აშშ, 4) 6:3, 7:5

როცა ფრანგმა ამელი მორესმომ ვინუს უილიამსთან ბრძოლაში ფარხმალი დაყარა და გადამწყვეტი სეტი წააგო, მთელმა საჩოგბურთო სამყარომ ამოიოხრა: ისევ დების ფინალი!

როლან გაროსისა და უიმბლდონის შემდეგ ამერიკის ღია ჩემპიონატიც უილიამსების ოჯახურ საქმედ იქცა. ყველაფერი დღესავით ნათელია – თანამედროვე ჩოგბურთში უილიამსებზე ძლიერი ქალი, უბრალოდ, არ მოიძებნება. ტურნირის დაწყების წინ სპეციალისტები ამაოდ ფიქრობდნენ, რომ ლინდსეი დევენპორტი, ამელი მორესმო ან ჯენიფერ კაპრიატი ულიამსების ჰეგემონიას რამეს დააკლებდნენ.

რაკი ყველამ იცის, რომ უილიამსების დამმარცხებელი არავინაა და დები, თუ მოინდომებენ, სულ იოლად გაუსწორდებიან ნებისმიერ ჩოგბურთელს, გულშემატკივრები და სპეციალისტები თანამედროვე ჩოგბურთის შავკანიანი მბრძანებლების ღირსეულ მეტოქეს წარსულში ეძებენ. ასე, მაგალითად, ოჯახური ფინალებით გაბეზრებულმა გერმანულმა "ბილდმა" ასეთი გამოკითხვა ჩაატარა: შეძლებდა თუ არა შტეფი გრაფი სერენა უილიამსის დაძლევას? გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობამ დარწმუნებით განაცხადა, რომ "ჩოგბურთის გრაფინია" სერენას ათი თამაშიდან რვას აუცილებლად მოუგებდა... ალბათ, გაუმართლათ ულიამსებს, შტეფი გრაფი რომ ასე ნაადრევად დაემშვიდობა ჩოგბურთს...

ვინ მოიგებს ამერიკის ღია ჩემპიონატს? თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს? შარშან ვინუსმა მოიპოვა გამარჯვებულის საპატიო ტიტული, წლეულს კი, ალბათ, სერენას ჯერია. მისთვის ეს წელი მართლაც რომ ტრიუმფულია - მან ხომ ზედიზედ მოიგო როლან გაროსი და უიმბლდონი. სერენასთვის 2002 წელი ნამდვილად უბედნიერიესი იქნებოდა, რომ არა ერთი უსიამოვნო ამბავი – უმცროს უილიამსს მანიაკი აედევნა.

მიუხედავად იმისა, რომ ათლეტური აღნაგობის სერენა სულაც არ გამოირჩევა განსაკუთრებული ქალური მომხიბვლელობით, გერმანელი ალბრეხტ შტრომაიერისთვის ის ოცნების ქალია. 34 წლის ფრანკფურტელი, დიდი ხანია, კუდში დასდევს სერენას და ამაოდ ცდილობს, პირადად შეხვდეს მას. გერმანელი თაყვანისმცემელი უილიამსებისთვის მძიმე პრობლემად იქცა. ალბრეხტ შტრომაიერი ესწრება ყველა ტურნირს, რომელშიც სერენა თამაშობს და ყველგან პოლიციასთან უხდება ურთიერთობა. იტალიიდან გააძევეს, ამერიკაში დააჯარიმეს, ის კი თავისას მაინც არ იშლის და ჯიუტად ცდილობს სერენას ყურადღების დამსახურებას. ერთხელ გადარეული გერმანელი სასტუმროში მიეჭრა სერენას და მასთან შეხვედრა მოითხოვა. როცა უარი მიიღო, ბევრი არ უფიქრია, პროტესტის ნიშნად, ყველას თვალწინ გაშიშვლება დაიწყო. ამ ინციდენტის შემდეგ სერენა იძულებული გახდა, დაცვის თანხლებით ევლო.

შტრომაიერზე არც დაპატიმრება მოქმედებს. ნებისმიერი ქვეყნის პოლიციას ის გულახდილად უცხადებს, სერენა ძალიან მიყვარსო და სრულიად ბუნებრივად მიაჩნია, რომ თავისი ოცნების ობიექტთან დაახლოებას ცდილობს. უილიამსებს კი ასეთი სიყვარული არაფერში სჭირდებათ. სერენას მამამ, რიჩარდმა, რომელსაც ყელში ამოუვიდა გერმანელის უსაქციელობა, სახალხოდ განაცხადა, თუ ამ ავადმყოფს არ დააპატიმრებთ, ჩემს შვილს თავად დავიცავო. ამერიკულმა პოლიციამ შტრომაიერი დააკავა, მაგრამ ახირებული ფანი ახლაც იოლად გადარჩა – მას 3000 დოლარის გადახდა დაეკისრა და აეკრძალა ქალთა ტურნირებზე დასწრება. ძნელი სათქმელია, რამდენად შეაშინებს შტრომაიერს ეს აკრძალვა. სერენას კი წინ ამერიკის ღია ჩემპიონატის ფინალი ელის. მას კიდევ ერთხელ მიეცემა მწვერვალზე ასვლის შანსი.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ, მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი. ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, როგორიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)




გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათი, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამბავში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით გეთქოვენის "ვითვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ, მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

# ფანკის ოდისეის დასასრული

## ჯეი ქეის თანამედროვე შოუ-ბიზნესზე გული ერევა

ვერა ნეფარიძე

**თუკი Jamiroquai-ის ექსცენტრულმა ლიდერმა გულწრფელად თქვა ის, რაც მსოფლიოს გლობალურმა ქსელმა უსწრაფესად გაავრცელა და მუსიკოსის შოუ-ბიზნესთან გამოსამშვიდობებელი გამოსვლა მხოლოდ სენსაციისთვის არ გაკეთდა, თანამედროვე მუსიკალური სამყარო სერიოზულ დანაკარგს მიიღებს.**

მსოფლიო მას-მედიის საშუალებებმა, რატომღაც, არ მიაქციეს სათანადო ყურადღება პოპულარული ბრიტანული ჯგუფის, Jamiroquai-ის ლიდერის, ჯეი ქეის გადაწყვეტილებას - დატოვოს მუსიკალური სცენა და ამ თემაზე ისინი ერთჯერად "ნიუსებს" დასჯერდნენ. სინამდვილეში ჯეი ქეის შეუძლია, ფარდა ახადოს ლამაზი ფერებით მომხიბლავად შეღებილი შოუ-ბიზნესის სამყაროს და მის შიგნით არსებული რეალური სურათი გამოააშკარაოს.

"იმას, რაც შოუ-ბიზნესში ხდება, ცინიკურად აღვიქვამ. ეს ნამდვილად არაა საქმე, რისი გაკეთებაც მსურდა; მე მხოლოდ სიმღერების დაწერა და შესრულება მინდოდა, მაგრამ სამუშაო რაღაც კოშმარად მექცა. არ ვიცი, ვინ გამოცვლის სიტუაციას, საამისო დრო ნამდვილად არ მაქვს. მინდა დავისვენო ამ ყველაფრისგან და დავივიწყო რაც მოხდა. ჩემი თაყვანისმცემლები მართლა ძლიერ მიყვარს, რაც შეეხება ყველა დანარჩენს, ვინც ხმის ჩამწერ ინდუსტრიას წარმოადგენს, არ მსურს მათ ოდესმე ვეკონტაქტო. იმ ნაგავს, რაც ამ სფეროშია, ვერაფრით შევეგუები. აქ არავინ იცის, საერთოდ, რა ხდება და რას შეიძლება ველოდოთ. აი, რატომაც მინდა ავიღო "შვებულება", რომელიც შესაძლოა, სამუდამოც იყოს" – გულის ნადები გაუმჟღავნა ვარსკვლავმა ბრიტანულ "სანს". ასე რომ, კაცმა არ იცის, თანამედროვე შოუ-ბიზნესისგან გაბეზრებული ჯეი ქეი რას გადაწყვეტს. მუსიკალური ჰორიზონტიდან გაუჩინარებას კი მუსიკოსი, სავარაუდოდ, წლის ბოლოსთვის აპირებს.

ჯეი ქეი "ვარსკვლავობას" თმობს

გადაწყვეტილებას ვერაფრით დაუკავშირებ ჯეი ქეის ბოლო ნამუშევრების კომერციულ, თუნდაც შემოქმედებით წარუმატებლობას. ჯგუფის წარმატების ფორმულაზე ჯეი ქეი ასე ამბობს: "წარმატებაა, როდესაც ჩვენს კონცერტებზე ადამიანები კარგად ერთობიან; როდესაც დარწმუნებული ვარ, რომ ალბომი მათ სიამოვნებას მიანიჭებს". დღემდე მის კონცერტებსა და ალბომებს მსმენელი არ დაჰკლებია. განსაკუთრებით, მისი ბოლო, შარშანდელი ალბომის, A Funk Odyssey-ის შემდეგ... უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ყველაფერი მუსიკოსისთვის მეორეხარისხოვანი აღმოჩნდა; მისთვის აუტანელია ცინიზმი, რომელიც მუსიკალურ ინდუსტრიაში მუშაობისას დაუგროვდა (როგორც ეს "სანისთვის" მიცემულ ინტერვიუში თქვა).

ეტყობა, ამის გამო იყო, რომ მუსიკოსი, პერიოდულად, საკმაოდ ცინიკურ გამონათქვამებს უძღვნიდა სხვადასხვა პიროვნებებს. ივლისში იგი კიდევ ერთხელ გახდა სახალხო განსჯის თემა, როდესაც ტელეარხ SC4-ის თანამშრომლებს, რომლებიც მასალას ამზადებდნენ საკლუბო კულტურაზე, პირდაპირ მიახალა, თუ როგორ ვერ იტანს უელსელებს. ამის შემდეგ, ჯეი ქეის ჯგუფის წევრებმა სთხოვეს რამე საპირისპირო ეთქვა საჯაროდ უელსის შესახებ, რასაც მუსიკოსის კიდევ უფრო ხმამაღლა ნათვამი იგივე ფრაზა მოჰყვა.

შოუ-ბიზნესში მას ყველაზე დიდი ნიჰილისტის სახელი აქვს. ადამიანი, რომელსაც ფეხზე ჰკიდია ყველანაირი ავტორიტეტული ტიტულები. ამ ზაფხულს, მუსიკოსმა ბრიტანეთის პრინცი ედუარდი ნაძირალად მოიხსენია. თუმცა, განცხადება არ ნიშნავს, რომ პოპ-ვარსკვლავს სამეფო ოჯახი სძულს. ჯეიმ ხომ, საკმაოდ თბილად მოიხსენია დედოფალი ელისაბედი ოქროს იუბილეზე, როდესაც აღიარა: "მე მისი ფანი ვარ".

მუსიკალურ საზოგადოებას, ალბათ, გაუჭირდება გამოემშვიდობოს Jamiroquai-ის, ვისი კარიერაც 1992 წლიდან, ბრიტანული საკლუბო სცენის განვითარების ახალი ეტაპიდან იწყება. ჯგუფმა თავიდანვე მიიპყრო მსენელთა ყურადღება, რადგანაც მათი მუსიკა არავის ჰგავდა. თანაც, მისი ლიდერი, ჯეი ქეი საკმაოდ განსხვავებული ჩანდა.

ელექტრონული ჰაუს-ჟღერადობით, "ცხელი" სოულითა და 70-იანების ფანკით გაჯერებულმა მუსიკამ მალე მიიქცია მსმენელთა ყურადღება. ჯგუფის პოტენციალმა ისე მოხიბლა მსხვილი კომპანიები, რომ Jamiroquai-ის სადებიუტო ალბომი Emergency on Planet Earth თვით "სონიმ" გამოუშვა. ამ ალბომით კი დასავლეთში კლასიკური ფანკის ხელმეორედ აღორძინება ბევრმა ირწმუნა. Jamiroquai-ის დამსახურებით, დღემდე ფანკის ოდისეა გრძელდებოდა. საინტერესოა, რა იქნება მომავალში?

## სკანვორდი


სინსლის უწვრილესი სადინარი
საეკლესიო-ადმინისტრაციული ოლქი
დ. რონდელის ფილმი
კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
მდინარე აღმოს. საქართველოში
ღვთისმეტყველ. ეთიოპელი მორგენალი
სანელსაწყაროს სამხრეთ ამერიკაში
პატარა სამხედრო საკავშირო
გამოგონილი ქვეყანა ჯ. სვიფტის რომანში
გიორგი სააკაძის მეომარული სოფელი
პერსონაჟი "კუკარაჩა-დან"
გერმანული სალვინე ვაზის ჯიში
ამერიკელი მულტიალიკატორი
ლირიკული სიმღერა
სიკო ლოლიძის ფილმი
მრუდის ორი წერტილი შემაერთ. ხაზი
მეცნიერება ის ან ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე
მუსლიმანთა მღვდელი
თოვლიანი ქარი
ხის ბიჭუნა
ესპანეთის დედაქალაქი
სიგრძის ასტრონ. ერთეული
ძველბერძენ დრამატურგი
მამაკაცის აღმოსავლური ქუდი
დასარტყამი მუსიკალური საკრავი
ფრანგი კინომსახიობი ქალი
ქალაქი ფინეთში
ადოლფ ადანის გალეტი
ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიური ჩანაწერი
ერთბავრი სახაზავი
სოფელი ჟიათურის რაიონში
გ. ტაბიძის ლექსი
ფილიპინების დედაქალაქი
სპორტული გუნდური თამაში
აშშ-ს ერთ-ერთი შტატი
მე-19 საუკუნის გერმანელი კომპოზიტორი
ქალაქი სამხ. აფრიკის რესპუბლიკაში
"ვის უნდა ოცი ათასის" წამყვანი
დიპლომატიური რანგი
ლატვიელი მსახიობი ქალი
ტერიტორიული ერთეული ძველ რუსეთში
სამხედრო კასტის წარმომადგენელი ფეოდალურ იაპონიაში
არამ ხაჩატურიანის გალეტი
არიადნა შენგელაიას კინოროლი
გ. პატარაიას ფილმი
ქალის ჯიში
"სამი მუშკეტერის" პერსონაჟი
N94-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხი
დონატელო; დიტრიხი; ომგალო; მარი; ფარაკანი; ფიფქია; პეტეში; მეტრეველი; მესტია; კოსმოპოლიტი; რერიხი; როსი; განიონისი; სელეში; ქრისტინე; ტიტა; გასტილია; ილია; ლოლიტა; ტუტე; დუბლონი; ცენტაურა; ჩერჩილი; ეიფელი; კლარენტი; ოდა; რჩეულიშვილი; ტირადა; შევჩენკო; აალიტა; ატრაქციონი; ანდა; ცერგერი; ქვაკი; აჩრდილი; ხარი; ტალი; ჩურჩხელა; რა; შალაპინი; დალი; გრიგი; ლალიძე; ავანსი; შერეკილები; ტინკა; ლონდონი; კარაკული; სტენდალი;

## TV პროგრამა 8 სექტემბერი

### რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.20 მულტსერიალი
10.50 სერიალი "ნიკიტა"
11.50 ველური გუნება
12.50 მხ.ფილმი
14.35 სიმფსონები
15.05 მხ. ფილმი
17.10 იქს მუტანტები
18.00, 21.00, 23.40 კურიერი
18.20 ქართული ფილმი
20.00 მონტელბანო
21.25 ჩვენი ეზო
21.45 "ჯეოსელის კინოკლუბი". "გრწყინვალე გონება" 8 (77) 45-79-25 რასელ კროუ, ჯენიფერ კონელი, "ბანდიტები" 8 (77) 45-79-26 ბრიუს უილისი, კეით ბლანშეტი, "მაკენას ოქრო" 8 (77) 45-79-27 გრეგორი პეკი, ომარ შარიფი
23.50 მხ.ფ. "გულთამტყრობელები" მთ. როლებში სიგურნი უივერნი, ჯინ ჰეკმანი

### პირველი არხი

08.00 "მოამგე"
08.10 მხ. ფილმი "შემოდგომა ნიუ-იორკში"
10.00 დილის პაემანი
11.05 "ოქროს მართვე"
11735 "მოგზაურობა სასიტყვეთში"
12.05 "სპა"
12.35 ჯაზის სალამო
13.05 მოსკოვი-თბილისი
13.35 დოკ. სერიალი "საბნების ისტორია"
14.25 "არათბილისური ამბები"
15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე
15.15 სატ. სპექტაკლი "ჯერ დაიხოცნენ, შემდეგ იძორწინეს"
17.15 მულტფილმი "პრინცესა ნერი"
17.40 "ტელეზღაპარი"
18.00 "ტაიმ-აუტი"
18.20 "ჩემპიონატი"
18.55 "ეკოდაიჯესტი"
19.25 "ჩვენი მისამართია"
20.00 "ტაიმ-აუტი"
20.55 "ამბობენ"
21.25 კონცერტი (გოგ მინცერი)
22.05 ტელესერიალი "ფორსაიტების საგა"
22.30 "მე-20 საუკუნეების დიდებული ქალბატონები"
22.50 სატელევიზიო კინოდარბაზი (პრემიერა სატელევიზიო ფილმისა)
00.55 "ტაიმ-აუტი"
01.05 მხ. ფილმი "აკვანი დაირწევა"

### მეორე არხი

19.00 მულტფილმი
19.30 დოკ. ფილმი „ვერსალის წყლები"
19.50 „მრავალსახეობა"
20.30 საქართველოს მატიანე
21.00 მშვიდობით, მეოცე საუკუნევ!
21.45 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი „ქამელეონი"

### ევრიკა

11.00 ცისკრის ზარები
11.05 მუსიკალური კოლაჟი
12.00 თეატრალური შეხვედრები
13.25 თბილისური ოჯახები
14.10, 22.00 მუსიკა
15.00, 21.00 ვესტი
15.30 საოცარი პირამიდა
17.00 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორის ქადაგება
17.20 საეკლესიო კალენდარი
17.35 საუბრები ბიბლიაზე
19.00 მხ. ფილმი "უგრიუმ-მდინარე" (მე-4 სერია)
22.30 "ევროპა და ევროპელები"
23.30 მსოფლიო სპორტი
00.30 მხ. ფილმი "რაშია საქმე, დოკ?"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.10, 21.55, 00.45 მუსიკა
08.25 მხ.ფ. "სამნი უნდა მოვიშოროთ"
10.20 მხ.ფ. "საწოლ ოთახში"
20.00 მხ.ფ. "ჩიტი მავთულზე"
22.30 მხ.ფ. "ფაკულტეტი"
00.50 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
07.30 "მადლიანი ცნობა"
10.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტორროლა"
12.30 "ვიდეო-რადიო" განმეორებით
14.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "გენიალური ჩვილები"
16.00 "უცნობი"
17.00 მუსიკა
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "ვიდეო-რადიო"
21.00 რომანტიკული მუსიკა
22.00 ინფორმატორი
23.00 "ცენტრი"
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ნაზი სიკვდილი".
01.40 ღამურა "მსოფლიოს სახურავი".
03.10 ნონ-სტოპი

### მეცხრე არხი

09.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20, 11.50, 18.50, 22.00, 23.45 მუსიკა
09.35 მულტფილმი "ტომი და ჯერი"
10.00, 15.00 "დილა"
11.20 "ევროპის სტადიონებზე"
11.55 დოკ. ფილმი "ქართული მართლმადიდებლური ეკლესია"
12.25 გადაცემა "საუბრები სტუდიაში"
13.15 მხ.ფილმი "კიდევ ერთი კარგი რამ"
16.20 მხ.ფილმი "ვამპირის აჩრდილი"
17.50 დოკ. ფილმი "იამგე ციხის ნაშალო"
19.00 მაცაცერა
19.30 "მსოფლიო ფეხბურთი"
20.00 სად? რა? როდის?
21.00 დოკ. ფილმი "საქართველოზე"
22.10 მხ.ფ. "წნეხის ქვეშ".
00.05 მხ.ფ. "ბრძოლის ველი - დედამიწაზე".

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ქართული მხატვრული ფილმი "ნეილონის ნაძვის ხე"
10.45 Слово
11.25 მისტერ ბინის კომიქსები
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 სათავგადასავლო ფილმი "ახალგაზრდა აივენჰო"
13.35 კომედია "ანგელოზები არა ვართ"
15.15 დოკუმენტური ფილმი
16.15 მულტფილმი "ფიფქია და შვიდი ჯუჯა"
17.35 კომედია "მენავთობე ქალები"
19.20 ისტორიული ფილმი "რაინდული რომანი" (მე-2 სერია)
20.20 ქართული მხატვრული ფილმი "გაშინაჩუქი"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.30 Новости в воскресенье
22.50 "სათქმელი"
23.20 დოკუმენტური ფილმი
00.30 მელოდრამა "ლამაზმანი"
03.30 დრამა "გრწყინვალეება"
05.10 დოკუმენტური ფილმი "1988"

### VII არხი

18.00,22.30,01,55 ანონსი
18.30,21.50 ამინდის პროგნოზი
18.20 "ლა-ლა-ლა"
19.00 "აჩიკუდა" 19.30 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
20.00 მელოდია
20.40 "ავტოტრენინგი"
21.50 "კინოკლუბი" - მხ.ფილმი "გრაფ მონტე კრისტო"
23.25 მელოდია
00.00 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
00.35 "კინოკლუბი" - მხ.ფილმი "გრაფ მონტე კრისტო"
02.00 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
02.50 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.20 х.ф. "РЯДОМ С НАМИ".
09.00, 11.00, 15.00 Новости.
09.10 Армейский магазин
09.40 Дисней-клуб: "Тимон и Пумба".
10.05 "МИСС МАРПЛ". "ТОЧНО ПО РАСПИСАНИЮ"
11.10 Непутевые заметки с Дм.Крыловым.
11.30 Пока все дома.
12.05 "СТРОГАЯ МУЖСКАЯ ЖИЗНЬ"
14.00 "Самарский резидент"
14.30 Дисней-клуб: "Микки Маус и его друзья".
15.10 Живая природа. "Чудеса света".
16.10 Сериал "БЕГЛЕЦ".
17.05 Большие родители. Валентин Катаев
17.35 "Сами с усами"
18.05 Юбилейный концерт Михаила Танича
19.50 Х.ф. "ПОЦЕЛУЙ ДРАКОНА"
22.00 Время.
22.30 Х.ф. "СИЛЫ ПРИРОДЫ"
00.30 "На футболе" с Виктором Гусевым.
01.00 Х.ф. "КРАСНОЕ СОЛНЦЕ"
03.05 Шахматный матч века. Сборная Россия - Сборная мира

### РТР

07.20 "БАГЗ-БАННИ".
08.45 Сериал "ДРАКОША И КОМПАНИЯ"
09.10 "Русское лото".
10.00 "ТВ Бинго шоу".
10.35 МЕСТНОЕ ВРЕМЯ. ВЕСТИ.-МОСКВА.
11.15 "Америка: год спустя".
11.50 "Городок".
12.25 "ПЕТРОВКА 38".
14.10 Док\ф "БРИЛЛИАНТЫ ДЛЯ МИРОВОЙ РЕВОЛЮЦИИ"
15.00 ВЕСТИ.
15.20 "Вокруг света".
16.15 "Диалоги о животных".
17.05 "Два рояля" 18.05 "Комната смеха".
19.00 "МАРС АТАКУЕТ".
20.50 В "Городке"
21.00 ВЕСТИ. НЕДЕЛИ.
22.10 "Красная линия". А. Мамонтов
22.40 "Бенефис" К. Новыковой
02.15 "Спорт за неделю"

### НТВ

07.45 Сериал "Неизвестная планета".
08.30 "Star старт"
09.00, 11.00, 13.00, 17.00 Сегодня.
09.15 "ТРАКТОРИСТЫ"
11.20 "Шоу Елены Степаненко"
12.20 "Растительная жизнь".
13.25 Служба спасения.
14.00 "НЕ МОЖЕТ БЫТЬ"
15.50 Вкусные истории.
16.05 Своя игра.
17.25 Ток-шоу. "Принцип "Домино".
18.35 "Очная ставка". "Четырнадцать негритят".
19.10 "Совершенно секретно"
20.00 "КОЛОНИЯ"
22.00 "Намедни"
23.30 "АД В ПОДНЕБЕСЬЕ"
02.25 "Пепси-чарт"

TV პროგრამები მოგვაწოდა საგანგებო "ინფორმაციამ"

ყაზბეგი

ტელ: 20-24-24
თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

ონკოლოგიურ ცენტრში
პროფესორ კოტე მარდალეიშვილის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ახალი საკვლევი პრეპარატის საერთაშორისო კლინიკური კვლევა **თავკისრის მიდამოს სიმსივნეებით** დაავადებულებში.
კვლევისათვის შერჩეულ პაციენტთა **მკურნალობა უფასოა**
ტელ 25-38-55
899 98-03-64

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება
თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,
მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პროგლემები მოგეხსნებათ.
"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.
"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.
წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.
იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.